

რაჭამ, ნემო თვალის ჩინო...

რეჟიონალი

№1 (64) 1.01-1.02, 2015

ფასი: 2 ლარი

სოციალური გასოცია

გიორგის ხალხი



20

კობი
პინის
საუბრო
ორნამენტები

26



რუსუდან (მანო)
რახვიაშვილი
ოჯახი ჩემთვის
ყველაფერია



35
პატარა
ქეთევანის
დიდი
ნარმატაბა



9
ეკატერინე
ჭიჭინაძის
საუბრო
დალოცვა

ადრეობა ნაჭაში



მრავალკალსი
ახალ წელს
სამი ოჯახი
სვდება.

28

გაკულაკებულ
გლახის ოჯახური
ისტორია

30



8

ანდრე
მანდრე
სუ გემიშვებ
სანდრე...



16

ნინო
გაქურაძე
მზის მანეთით
მოსილი ქალი

ბიბლიოტეკაში წიგნობა





ლიზი,
ლაზარი,
გაბრიელ
დანაჭრელაშვილები

ნიკოლოზ და ნატალია
ღვლი, ღვლი, ღვლია
ტუიდან გულთ მოვიჩქარით
ღღეს ახალი წელია.
ბებოს ჩვენთვის ტკბილეული,
უხუად შეუკრებია,
ხანუკრებიც ბერი გვხვდება,
აბა ღვლი, ღვლია.



ნიკოლოზ და ნატალია
გამყრელიძეები



სარჩევი



ილია II	2
ქრისტესშობა	4
ალილობა საქართველოში	6
ალილო რაჭაში	8
მილოცვა	9
19 იანვარს ქრისტიანული სამყარო ნათლისღებას აღნიშნავს	10
27 იანვარი წმინდა ნინოს ხსენების დღეა	11
საახალწლო მოზაიკა	12
მიიღეთ იგი როგორც არის	14
მზისგან მანტია მოსხმული ქალის ისტორია	16
საშობაო მინიატურები - ნიკო ლორთქიფანიძე	18
ჯორჯ კობი — უმდიდრესი ქართველი ამერიკაში	20
სახალხო მკურნალი	23
შობის შემოლოცვა და საახალწლო რიტუალი	24
ოჯახი ჩემთვის ყველაფერია	26
მატრონე რეხვიაშვილი-ჩაგელიშვილის საშობაო-საახალწლო „ბიკიკები“	27
სოფლის სადარაჯოზე მდგარი ხუთი ადამიანის ახალი წელი მრავალძალში	28
გაკულაკებული გლეხის სპირიდონ ჩიხრაძის ოჯახური ისტორია	30
შქმერის უკანასკნელი მოჰიკანი	32
ჩვენც დავბერდებით	33
საახალწლო ფიქრები — ვაჟა-ფშაველა	34
პატარა ქეთევანის დიდი წარმატება	35
მე დღეს გადამწვეს როგორც ნათურა — ვანო ცინცაძე	36
რა ვამღეროთ ქმრებს საახალწლოდ	37
რაჭა-ლეჩხუმის ღირსშესანიშნაობები — დავით კიკოლაშვილი	38
დედის ნანა — ლეილა ბეროშვილი	40
ბიჭი და ნიბლია — ლეილა ბეროშვილი	40



მთავარი რედაქტორი —
ნინო რეხვიაშვილი

ტელ: 599 74 68 10

დამფუძნებელი —
გონა გუტაშვილი

ტელ: 599 53 58 94

კომპიუტერული უზრუნველყოფა
დალი ჯვარციანი

ტექსტი ააწყო

თამარ გოგინაძე

მისამართი: თბილისი, ლესელიძის

ქ. №27, მე-2ს., 790 74 68 10

ელ-ფოსტა: nino153@mail.ru

**ჟურნალი „რაჭველები“ ემიგრანტ
რაჭველებს და არა მარტო მათ,
გთავაზობთ თანამშრომლობის პროექტს —
გამოგვიგზავნეთ მასალები, ფოტოსურათები,
რითაც შეძლებთ მოეფეროთ თქვენს
მონატრებულ ქვეყანას, ოჯახებს და ამავე
დროს მხარში დაუდგეთ ჟურნალს.**

ტელ: 599 74-68-10

მეირფასო მკითხველო!

გაცნობებთ, რომ რედაქციაში შემოსული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. რაც შეეხება სარეკლამო ტექსტს, მთელი პასუხისმგებლობა რეკლამის შემკვეთს ეკისრება.

ჟურნალში მასალების განთავსება ფასიანია!

„ნიმო ჩხვიანვილის გაემთხველოვა“ და ქუჩნალი „ჩაჭველები“
ყველა მართლმადიდებელს ულოცავს ერის სულიერი მამის, უწმინდისის
და უწებარისის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის,
მთავარეპისკოპოსის მცხეთა-თბილისისა და
მიგრეპოლიტი ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის, ილია II - ის
დაგადავის დღეს

ქ ი ლ ი ა



მამა — გიორგი შიოლაშვილი,
დედა — ნატალია კობაიძე

1933 წლის 4 იანვარს ვლადიკავკაზში, გიორგი სიმონის ძე ლუდუშაური-შიოლაშვილისა და ნატალია იოსების ასულ კობაიძის კეთილმორწმუნე ოჯახში დაიბადა ილია (ერისკაცობაში ირაკლი) ლუდუშაური-შიოლაშვილი.

უწმინდესისა და უწებარესის, ილია მეორის მამა, გიორგი ლუდუშაური, დაიბადა და ცხო-



ვრობდა სნოში. დედა - ნატალია კობაიძე კი სოფელ სიონიდან იყო. მათ 1927 წელს ქალაქ ვლადიკავკაზში შეიძინეს სახლი და დროებით საცხოვრებლად იქ გადავიდნენ. გიორგი ლუდუშაურის ოჯახთან ბევრ სასულიერო პირს ჰქონდა ურთიერთობა, მათ შორის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძეს. პატრიარქი სწორედ მათი ოჯახის საშუალებით ამყარებდა ურთიერთობას ვლადიკავკაზში მცხოვრებ ქართველებთან.

ძაუგის (ვლადიკავკაზის) ქართული ეკლესია მაშინ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის იურისდიქციაში შედიოდა. ქრისტეშობის დღეს სწორედ ამ ქართულ ეკლესიაში მონათლეს სამი დღის ახალშობილი და ყრმას, მეფე ერეკლეს პატივსაცემად, ირაკლი დაარქვეს. საქართველოს მომავალი პატრიარქი კათოლიკოს-პატრიარქ კირიონის ყოფილმა მდივანმა, არქიმანდრიტმა ტარასიმ (კანდელაკი) მონათლა. ბავშვის ნათლია იყო მონაზონი ზოილე (დვალისვილი).

1952 წელს ირაკლი შიოლაშვილი-ლუდუშაურმა დაამთავრა ვლადიკავკაზის 22-ე საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო მოსკოვის სასულიერო

სემინარიაში, რომელიც სერგიევ პოსადში (მაშინდელ ზაგორსკში) მდებარეობს. სასულიერო სემინარია პირველი ხარისხის დიპლომით დაამთავრა და როგორც საუკეთესო სტუდენტი, სასულიერო აკადემიის პირველ კურსზე ჩაირიცხა.

იმ დროს წმიდა სამების მონასტრის წინამძღვარი იყო მომავალში მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი პიმენი. „მე სიყვარულით ვიხსენებ მოსკოვის სასულიერო სემინარიაში სწავლის წლებს, როცა სტუდენტებიცა და მასწავლებლებიც სიხარულით



ილია II

დავდიოდით მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ძალღონით აღსავსე წინამძღვრის მჭევრმეტყველური და ღრმა შინაარსის მქონე ქადაგებების მოსასმენად...

... განსაკუთრებით ჩვენ ბერად აღკვეცის წესზე დასწრება გვიყვარდა“, - იხსენებს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.

ყოველივე ამან გადააწყვეტინა აკადემიის ახალგაზრდა, წარჩინებულ სტუდენტს „ძნელად გადასაწყვეტი საქმე“ - ბერად შედგომა.

24 წლის ასაკში 1957 წლის 16 აპრილს, კათოლიკოს-პატრიარქ მელქისედეკ III ლოცვა-კურთხევით, თბილისის ალექსანდრე ნეველის ტაძარში სასულიერო აკადემიის II კურსის სტუდენტი ბერად აღკვეცეს. ბერად აღკვეცის საიდუმლო შეასრულა ეპისკოპოსმა ზინობიმ (მაყუგა) და ბერს სახელად ილია უწოდა.

იმავე 1957 წლის 18 აპრილს სიონის საპატრიარქო ტაძარში ბერი ილია ხელდასხმულ იქნა იეროდიაკვნად, ხოლო 1959 წლის 10 მაისს წმიდა სერგის მონასტრის ლავრაში იეროდიაკონი ილია მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის, უწმიდეს ალექსი I მიერ ხელდასხმულ იქნა მღვდელმონაზვნად.

ამავე 1960 წლის 19 დეკემბერს აღყვანილ იქნა ილუმენის, ხოლო 1961 წლის 16 სექტემბერს - არქიმანდრიტის ხარისხში.

1963 წელს, ხრუშჩოვის მმართველობის პერიოდში, როცა რუსეთში ხუთი სემინარია, მრავალი ტაძარი და მონასტერი დაიხურა, უწმიდესმა და უნეტარესმა ეფრემ II საქართველოში სასულიერო სასწავლებლის გახსნა მოახერხა, რომელსაც, მეტი სიფრთხილისათვის, „საღვთისმეტყველო კურსები“ დაარქვეს. სწორედ ამ „საღვთისმეტყველო კურსების“ პირველ დირექტორად დაინიშნა არქიმანდრიტი ილია.

1963 წლის 26 აგვისტოს, კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემ II მიერ საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავართა თანამნი-

რველობით, არქიმანდრიტი ილია ხელდასხმულ იქნა ბათუმ-შემოქმედელ ეპისკოპოსად და დაინიშნა პატრიარქის ქორეპისკოპოსად.

აჭარაში შვიდი წლის მოღვაწეობის შემდეგ, პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, 1967 წელს იგი ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსად გადაიყვანეს. 1969 წელს აღყვანილ იქნა მიტროპოლიტის ხარისხში. მიტროპოლიტმა ილიამ სოხუმში 11 წელი დაჰყო.

1972 წელს ჯილდოდ მიიღო მეორე პანაღის ტარების უფლება, ხოლო 1975 წელს - უფლება სკუფიაზე ჯვრის ტარებისა.

1977 წელს გარდაიცვალა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დავით V (დედარიანი). 1977 წლის 9 ნოემბერს, წმიდა სინოდის განჩინებით, პატრიარქის მოსაყდრე გახდა ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია.

1977 წლის 23 დეკემბერს თბილისის სიონის საპატრიარქო ტაძარში გამართულმა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის XII ადგილობრივმა კრებამ განიხილა საქართველოს ეკლესიის ახალი კათოლიკოს-პატრიარქის არჩევის საკითხი და მიტროპოლიტი ილია ერთხმად იქნა არჩეული სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად და ეწოდა ილია II. ილია I საქართველოს ეკლესიას მართავდა 390-400 წლებში.

1977 წლის 25 დეკემბერს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის საპატრიარქო ტახტზე, რომელიც ანდრია პირველწოდებულისა და სვიმონ კანანელისაგან იღებს დასაბამს, ახალი პატრიარქი იქნა აღყვანილი: ღვთის განგებით, მცხეთის საპატრიარქო ტაძარში შესრულდა ახალი კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის აღსაყდრება.

გავიდა 25 წელი და აი, ის არასრული ჩამონათვალი, რაც ჩვენი პატრიარქის მწყემსმთვრულ მოღვაწეობას უკავშირდება:

1988 წელს მისი უწმინდესობის



თაოსნობით მცხეთის სასულიერო სემინარია გადმოტანილ იქნა თბილისში და დაარსდა თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია.

კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, საქართველოში გაიხსნა ეკლესიები და მონასტრები, აშენდა ახალი ტაძრები.

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II დაჯილდოებულია მსოფლიოს საპატრიარქოს, იერუსალიმის, ალექსანდრიის, რუსეთის, ბულგარეთის, სერბეთის და თითქმის ყველა მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი. ნიუ-იორკის სასულიერო აკადემიამ კათოლიკოს-პატრიარქ ილია II ღვთისმეტყველების დოქტორის წოდება მიანიჭა. ასეთივე ხარისხი მიანიჭა 1997 წელს მას კრეტის მეცნიერებათა აკადემიამ. იგი არჩეულია მოსკოვის ინფორმატიზაციის აკადემიის წევრად, 2002 წელს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურმა უნივერსიტეტმა საპატიო დოქტორისა და პროფესორის წოდება მიანიჭეს.

მეჩვენება

უფალო, დიდება შენდა!

როდესაც ადამიანთა მოდგმის პირველი მშობლები ღვთის ალექმის დარღვევის გამო სამოთხიდან განიდევნენ, უფალმა თავისი გამოუთქმელი გულმონყალებით დაცემულ კაცობრიობას გამოსხნის ალექმა დაუდო. ამ ალექმაში ყოვლადმინდა ქალწულის შესახებ წინასწარმეტყველება იყო: „**თესლი დედაკაცისა დათრგუნავს თავსა გველისასა**“. ჩვენი მხსნელის ყოვლადმინდა დედის შესახებ ეს პირველი სასიხარულო უწყება ბევრჯერ განმეორდა, რათა ადამიანები მესიის მომავალი მოსვლისათვის მოემზადებინა.

ქვეყნიური მეფის ნებამ მოუხმო იოსებსა და მარიამს ბეთლემისაკენ, რათა ზეციური მეუფის ნება აღსრულებულიყო. იოსები და მარიამი აუცილებლად უნდა წასულიყვნენ ბეთლემში - დავით მეფის სამშობლოში, სადაც სამეფო შტოს საგვარეულო წუსხები ინახებოდა და სახელი იესოსი, რომლის წინამეტყველთა ზეციურ ძალთა მუხლი იდრიკება, წარმართი ხელისუფალის ქვეშევრდომთა შორის ჩანერილიყო. დიდება უფალო, სიმდაბლესა შენსა, დაე, განქარდეს ყოველი ამპარტავნება გულთაგან ჩვენთა!

წლის მკაცრ სეზონზე და სრულიად უსახსროდ, არასასურველ ვითარებაში უნდა დასდგომოდნენ იოსები და მარიამი ძნელ გზას. ამ გზის გასავლელად საუკეთესო შემთხვევაში სამ დღე-ღამეზე მეტი იყო საჭირო. ბეთლემი, პატარა ქალაქი, რომელსაც ადრე ეფვრათა ეწოდებოდა, იერუსალიმის ჩრდილოეთით მდებარეობდა, ქებრონის გზაზე და ნაზარეთიდან სამი დღის სავალი ამოვრება. დავითი ბეთლემში დაიბადა და მისი მეფედ ცხებაც აქ აღსრულდა. ბეთლემში იყო დავითის მთელი მოდგმა და ამიტომ ის დავით მეფის საგვარეულო ქალაქად იწოდებოდა.

ბოლოს მათ მიაღწიეს ბეთლემს, მაგრამ აქ მოსასვენებელი ვერსად იპოვეს. პატარა ქალაქი მომსვლელებით იყო სავსე. წმინდა მწირები ამაოდ ეძებდნენ თავშესაფარს. არავინ მიიღო ისინი, „რამეთუ არა იყო მათა ადგილი სავანესა“. მთელ

ქალაქში თავისუფალი კუთხეც კი არსად მოიძებნა. ისინი ადამიანთა საცხოვრებელს უდრტინველად გაშორდნენ და სადგომს ქალაქის შემოგარენში, ჭიშკართან ახლოს ეძებდნენ. ბეთლემის ჩრდილოეთით, დავითის წყაროდან ორასიოდე ნაბიჯზე, კლდეებს შორის არის გამოქვაბული, რომელშიც ქარიშხლის და უამინდობის დროს მწყემსები პირუტყვთან ერთად თავს აფარებდნენ. გამოქვაბულის სიღრმეში ქვის კლდეში ამოკვეთილი ჩაღრმავება ცხოველებს ბაგის მაგივრობას უწევდა. ამ ლატაკურ გამოქვაბულში მოთავსდნენ წმინდა მგზავრები და სრულ სინყნარესა და სიმშვიდეში იმყოფებოდნენ.

ამ მყარ კლდეებში შუაღამისას ქალწულმა მარიამმა წინასაუკუნეთაგან მამისაგან შობილი უხრწნელი შვა და „**მიანვინა იგი ბაგასა**“. სასწაულებრივი, ადამიანური ბუნებისათვის მიუწვდომელი იყო მისი მუცლადღება, ასევე სასწაულებრივად, ასევე ზებუნებრივად მოხდა მისი მოვლინება ყმანვილი დედის წინაშე. ასე სხივმფენი მნათობი გაარღვევს მეყდეულად ღრუბელს, რათა თავისი სინათლითა და სითბოთი ქვეყნიერებას სიცოცხლე მოჰფინოს.


მხსნელის შობას ტკივილები არ სდევდა თან, ქალწულმა იმგვარად შვა, რომ მთელი თავისი მხიარულება და ძალა შეინარჩუნა. როდესაც ყოვლადმინდამ ძე თავისი და ღმერთი ჩვენი შვა, დაუყოვნებლად მის სამსახურს შეუდგა. სხვათა დახმარება არ სჭირდებოდა, არც ტკივილსა და არც იმ უძღურებას არ გრძნობდა, რომელსაც ჩვეულებრივ განიცდიან ქალები.

დედა ღვთისამ ყოვლადმინდა ხელებით თვითონვე შეახვია იგი, ბაგაში მიანვინა და პირველმა სცა თავყვანი. თავის ძუძუს აწოვებდა მას, მის მკლავებში განვლო უფლის სიყრმემ, დედასთან განუშორებლად გაატარა მან თავისი სიყმანვილე 30 წლის ასაკამდე, სანამ ადამიანთა მოდგმას განუცხადებდა, რომ საკაცობრიო ცოდვებს საკუთარ თავზე იღებდა, რათა ჯვარზე სიკვდილით ქვეყნიერებისათვის ხსნა მოენიჭებინა.





ქრისტე დაბადებულაო...



თრთოლვითა და მოკრძალებული მდუმარებით სცა თაყვანი იოსებმა ყოვლადწმიდა დედასა და მის ძეს - ჩვენს ღმერთს. განცვიფრების სიხარულით შეპყრობილმა ზებუნებრივი სასწაული განჭვრიტა და დაუყოვნებლივ შეიგრძნო, რომ მისი ძე ჭეშმარიტად სულიწმინდისაგან არის, მიხვდა, რომ იმ დრომდე, სანამ არ შვა ძე თვისი პირმშო, პირმშო ახალი ცხოვრებისა, პირმშო ახალი აღთქმისა, ღვთისმშობელს არ იცნობდა იოსები, არ იცოდა, ვინ იყო იგი და რისი ღირსი გახდა თვითონ, არ იცნობდა მას - დედას ღვთისას, იმიტომ, რომ იოსებისთვის დაფარული იყო, თუ რაგვარი ღვთაებრივი საიდუმლო იმალებოდა მასში. მხოლოდ აქ, ძის ბუნებითი შობის დროს მან მთლიანად გაიაზრა, რომ ამაზედ იყო ნათქვამი: „ქალწულმან მუცლად იღოს“.

კაცობრიობის მეუფის და მხსნელის შობით ღმერთმა ქვეყანას დიდი და ახალი სასწაული მოუვლინა: - სასახლის მაგიერ - უდაბნოს ქვაბული, ლოგინის ნაცვლად - ჩალის ნაგლეჯი, უფალმა, რომელიც ცაში ჩიტსაც კი არ ტოვებს მზრუნველობის გარეშე, თავისი ბრძნული ყოვლისშემძლეობით მხოლოდშობილი ძისთვის მიწიერი სავანე არ განამზადა. ძე ღვთისამ, რომელიც ზეცის მფლობელია, ბაგაში განისვენა; უცნობ ქალს ჩაესახა ქრისტე, ხოლო დიდებულ იერუსალიმში ჯვარზედ აცვეს, მცირე ბეთლემში იშვა იგი, ხოლო დიდ იერუსალიმში სიკვდილად მიეცა. საკვირველ არიან საქმენი შენნი, უფალო!

ძე ღვთისასა შობის წუთებში გაიხსნა ცა, ღვთის დიდებამ განანათლა მიწა, რომელიც ღრმა წყვიადით იყო დაფარული, ანგელოსთა დასნი გარდამოვიდნენ მაღლიდან და სიხარულით გალობდნენ, რომ ქვეყანაზე დაემკვიდრა მშვიდობა და ადამიანებს ღვთის წყალობა დაუბრუნდა.

რას შვრებოდა ამ დროს მიწა, - ღვთის დიდებით გაბრწყინებული? ყოველივე ღრმა ძილში იყო ჩაძირული: იუდეველები აღთქმული მესიის მოლოდინში, - რომლისგანაც ქვეყნიურ დიდებას ელოდნენ, - სჯულს იცავდნენ, ხოლო წარმართები თავიანთი კერპების წინაშე იღრჩობოდნენ ცოდვაში.


ბეთლემშიც ასე ეძინათ, მაგრამ არა ყველას. ბეთლემის ველზე, რომელიც მთებით იყო გარშემორტყმული და ქვაბულიდან ნახევარი საათის სავალზე მდებარეობდა, იდგა სვეტი, რომელიც ედერის სახელით იყო ცნობილი და რომლის სიახლოვესაც დიდი დავით მეფე მამის ფარას მწყემსავდა. ღამით, ამ დროს მწყემსები ცხვარს ედგნენ დარაჯად. მოულოდნელმა სხივმა გაანათა ისინი, უფლის ანგელოსი წინ წარმოუდგათ და უთხრა: „ნუ გეშინინ, რამეთუ აჰა, ესერა გახარებ თქვენ სიხარულსა დიდსა, რომელი იყოს ყოვლისა

ერისა, რამეთუ იშვა დღეს თქვენდა მაცხოვარი, რომელ არს ქრისტე უფალი ქალაქსა დავითისასა, და ესე იყოს თქუენდა სასწაულად: ჰპოვოთ ყრმა იგი შეხვეული და მწოლარე ბაგასა“.

როდესაც ზეციურმა მაცნემ ხარება დაასრულა, მოულოდნელად, როგორც მისი სიტყვის დადასტურება, გამოჩნდა ანგელოსთა უთვალავი მხედრობა, რომელიც აქებდა და ადიდებდა უფალს: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნობა“.

არც ბრძენთ, არც დიდებულთ, არც ამა ქვეყნის ძლიერთ და მდიდართ არ გამოუცხადა უფალმა თავისი საიდუმლო, არამედ - ყველაზე ღატაკ, ყველაზე უკანასკნელ მამურობებს ამქვეყნად. დაფარა - ყოვლადბრძენთა და გონიერთა წინაშე - და განუცხადა ყრმებს: ჰოი, უპოვარების ნეტარება, მორჩილებისა და უსიტყვო თვინიერების მომნიჭებლო, სიამაყისა და ამპარტავნების დამორგულველო! თვით უფალი მისი ღატაკებთან და სიყვარულისა და გულმონყალების წყაროს გარდმოუვლენს მათ. ანგელოსები ნავიდნენ ცისკენ, დამთავრდა დიადი ხილვა, მწყემსები გონს მოეგნენ და ყველამ, როგორც ერთმა, გადანყვიტა, წასულიყო ბეთლემში და ენახა, რაც იქ მოხდა. მათ კარგად იცოდნენ ის ადგილები ბეთლემისკენ მიმავალ გზაზე, სადაც საქონლის ბაგები იყო და სადაც ღარიბი მგზავრები თავშესაფარს პოულობდნენ. ნავიდნენ და ჰპოვეს ყოვლადწმინდა ქალწული და ბაგაში მწოლარე ყრმა და თაყვანი სცეს მას.

ანგელოსთა სხივბრწყინვალე გამოცხადებისა და ხარების შემდეგ ღვთაებრივი ყრმა უბრალოებით და სიღატაკით გარშემორტყმული კიდეც უფრო ზეციური და ნათელი ეჩვენათ. თაყვანისსაცემად მისულებმა ყველაფერი მიიტანეს, რაც კი ებადათ: წმინდა სიყვარული, მყარი რწმენა და მხსნელის და მეუფის მხურვალე დიდება. და რადგან სურდათ, საკუთარი ღვთისმოსაური გრძნობა გამოეხატათ, მის ყოვლადწმინდა დედას უამბეს ყველაფერი, რაც ნახეს და ანგელოსთაგან ესმათ. ქალწული მარიამი თვალს ადევნებდა ყველაფერს, რაც მისგან შობილ ღმერთკაცს შეეხებოდა და როდესაც მწყემსების ნაამბობს ისმენდა, მეხსიერებაში იბეჭდავდა და ხარობდა, რომ მოვლენები ღმერთის აღთქმას ადასტურებდა. წმინდა იოსებ დამწინდველი გაოცებული, კრძალვით იდგა ჭეშმარიტი ნათლის წინაშე, ბედნიერმა მწყემსებმა კიდეც ერთხელ სცეს თაყვანი ყრმა ღმერთს და მის ყოვლადწმინდა დედას და თავიანთი მორჩილების აღსასრულებლად ნავიდნენ, აქებდნენ და ადიდებდნენ ღმერთს და მთელ მხარეში ავრცელებდნენ სასიხარულო ამბავს - იმ წმინდა ღამეს მომხდარი სასწაულის შესახებ.



ალილოება საქართველოში

- ოცდახუთსა დეკემბერსა ქრისტე იშვა ბეთლემსაო
- ანგელოზები გალობენ დიდება მადლათა შინა
- ეს რომ მწუქემსებმა გაიგეს მივიდნენ და თაყვანი სცეს მას
- ჩიტი ღობეზე შემოჰდა იძახოდა ქრისტეშობას
- ცაზე ვარსკვლავი გამოჩნდა შობის მახარებელიო
- ალათასა ბალათასა ხელი ჩაუკარ კალათასა შიგ რომე ვერა ვიზოფე-რა ღმერთი მოვცემს ბარაქასა
- ოცდახუთსა დეკემბერსა ქრისტე იშვა ბეთლემსაო

„დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, და ქვეყანასა ზედა, მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“.


„და მწყამსნი იყვნეს მასვე სოფელსა, ველთა დგაბოდეს და ჯუმილვიდეს საჯუმილავსა ღამისასა სამწყოსოსა მათსა. და აჰა ანგელოზი უფლისაჲ დაადგრა მათ ზედა, და დიდებაჲ უფლისაჲ გამოუბრწყინდა მათ, და შეეშინა მათ შიშითა დიდითა. და ჰრქუა მათ ანგელოზამან მან უფლისამან: ნუ გაშინინ, რამეთუ აჰა ესერა გახარებ თქუენ სიხარულსა დიდსა, რომელი იყოს ყოვლისა ერიისა: რამეთუ იშვა ღმელს თქუენდა მაცხოვარი, რომელ არს ქრისტე უფალი, ქალაქსა დავითისსა. და ესე იყოს თქუენდა სასწაულად: ჰყოთ ყრმაჲ იგი შეხუებული და მწოლარე ბაბასა. და მიყსულად იყო ანგელოზისა მის თანა სიმრავლე ერთა ცისათაჲ, აქებდეს ღმერთსა და იტყოდეს: დიდებაჲ მაღალთა შინა ღმერთსა, და ქუეყანასა ზედა მშვიდობაჲ, და კაცთა შორის სათნოებაჲ. და იყო ვითარცა აღვიდეს ანგელოზნი იგი ზეცად, მწყამსთა მათ თქუენ ურთიერთთა: განვიღეთ ჩუენ ვიდრე ბეთლემადმდე და ვიხილოთ სიტყუაჲ ესე, რომელი იყო ჩუენდა მომართ, რომელი-იგი უფალმან მაუწყა ჩუენ. და მოვიდეს მსწრაფლ და ჰოვოს მარიამ და იოსებ და ყრმაჲ იგი, მწოლარე ბაბასა. და ვითარცა იხილეს, გულისგვა-ყვის სიტყუაჲ იგი, რომელი ითქუა მათა მიმართ ყრმისა მისთჲს. და ყოველთა, რომელთა ესმოდა, უჰკრდა სიტყუაჲ იგი მწყამსთაჲ მათ მათდა მიმართ. ხოლო მარიამს დაემარხნეს სიტყუანი ესე და დაედვა გულსა თჳსსა. და მიიძცეს და წარვიდეს მწყამსნი იგი, აღიდაგდეს და აქებდეს ღმერთსა ამას ყოველსა ზედა, რომელი ესეა და იხილეს, ვითარცა-იგი ითქუნეს მათდა მიმართ“ (ლუკა 2, 8-20).

ყოველი შობის ღამეს, ალბათ ვარსკვლავის გამოჩენისა და ღვთისმსახურების დასრულების შემდეგ მოციქულების წინამორბედი, ქრისტეს მახარებელი მწყემსები შორეული წარსულიდან აქამომდე მთელ ერს ამცნობდნენ იმ უდიდესი საიდუმლოსგანხორციელებას, რასაც იესო ქრისტეს განკაცება ჰქვია. მწყემსებად გამოწყობილი ჩვენი წინაპარი ზრდასრული მამაკაცები თუ ჩვენი

თანამედროვე ახალგაზრდა ყმაწვილები ალილოს გალობით, როგორც ამ ხალხურ სიმღერას ხალხში უწოდებდნენ, თვითოეული თანასოფელელის კარმიდამოს მოივლიდნენ და მოუთმენლად მომლოდინე მასპინძლებს ღვთის სადიდებელს - ალილოს (ალილუია - ვადიდოთ ღმერთი) - მთელი ქვეყნის გასაგონად, მაღალ ხმაზე უგალობდნენ:



აღიღო



„აღიღო და აქა აღიღო,
აღიღო და აქა შობა,
ღმერთმა ბევრი გაკეთენოთ
შობა-ანსაღწეღიწადი.
ოცდასუთსა ამთვესაო,
ქრისტე იშვა ბეთლემსაო,
ჩიტე შემოჯდა ღობესა,
იმანის ქრისტეშობასა.
ჩვენ მათხოვრები არა ვართ,
ვართ ქრისტეს მახარობლები,
აღიღო და აქა შობა,
აქა აღიღო“

(მესხეთი)

„ოცდასუთსა ამ თვესაო,
ქრისტე იშვა ბეთლემსაო,
თქვენ გვანუქეთ გროშებიო,
დაგელოცოთ ბოგშეგებო“

(სამეგრელო)

„ოცდასუთსა და რამდენსა შობა გათენებულაო,
შობის მადლი შეგეწოთ,
ქრისტე დაბადებულაო,
ეს სახლი ვინ ააშენა, ვინ დასურა
მუნის გული?
ამშენებლის დედა ცხონდეს, დამსურავის
მამის სული.“

„კოშკიდან“ გადავიხედე, ერბო ვიდგათ
ქილებითა,
ალათასა, ბალათასა, კვერსცი უნდა კალათასა,
აქა ღორი დაკლულიო, ნაუელარი ჩვენიაო,
ნასამედი თქვენიაო.
პატარძლო ჩვენო ღვინო, მარნის კარი
ვიჭრიალებს,
მარნის ქოცო აგვიხადე, უელი ჩავვიმჭრინაე“


(კახეთი)

ვინ მოსთვლის რამდენი საუკუნე ქართველი ამ
საოცარი ამბით, სიხარულითა და ვარსკვლავით
განათებულ ღამეში უხვად: ფულით, ფქვილით,
ერბოთი, თხილ-კაკლით, საშობაოდ დაკლული
ღორის ხორციით, ყოველივე იმით, რაც მოეპოვებოდა
და რა თქმა უნდა, კვერცხით, აჯილოდოვებდა
მეაღილოებს, შობის სიმბოლოთი, რომელიც
სულ მალე, აღდგომას, ქრისტეს ჯვარცმის
ნიშნად წითლად შეიღებებოდა და მეჭონეებს,
ქრისტეს აღდგომის მახარობლებს მიერთებოდა.
კვერცხით, რომელიც ოდითგან საუცხოო
საჩუქრად ითვლებოდა. და ვაი, მას ვინც ძღვენს
დაინანებდა (მეაღილოეთა ძღვენის გარეშე გაშვება
ხალხში ფუძის უბარაქობისა და ზიანის მომტანად
ითვლებოდა) იმ მწყემსთათვის, რომლებიც ღვთისა
და ანგელოზებისაგან დამოძღვრილ სახარებისეულ
წინაპრებს განასახიერებდნენ, ვისაც მთელი
ქვეყნისათვის ღვთისა და ანგელოზების ნებით დიდი
საიდუმლო, მომავალი, მარადიული, მარადიული
ხსნის საწინდარი უნდა გაენდოთ. ამას გარდა,
ქრისტიანი ქართველი მოსულში, ყოველ სტუმარში,
მათ შორის ყოველ მეაღილოეში ღმერთს ხედავდა,
რომელთათვის მირთმეული ძღვენი შესანიშნავი იყო
და საჩუქარიც, დიდებაც და თაყვანისცემაც.

ამ ღამეს ქრისტეშობის სიხარულს, როგორც
ბეთლების გამოქვაბული, ველარ იტევდა ტაძარი,
მწყემსებთან ერთად გამოდიოდა გარეთ, მწყემსების
მეშვეობით თვითოეულ მოკვდავამდე მიდიოდა და
ეს სიხარული ქრისტეს ხორციელი მოვლინებით
განცდილი ყველას ერთ მრევლად, ქრისტეს მიწიერ
სხეულად, ეკლესიად აქცევდა.


შუასაუკუნეების გადმოცემის თანხმად, შობას
იერიქონში ვარდები იშლებოდნენ დეკემბერში,
შიომღვიმეში ტაძრის კედელთან ამოსული წითელი
ვარდის კოკრები, თითქოსდა მეაღილოე მწყემსების
დარად ელიან შობას, რომ აყვავდნენ სიხარულისა
და დიდების ნიშნად.

წინა ღამეებშიც



ამ საშობაო ალილოს მღეროდნენ
შობის მომლოცველნი ზემო რაჭაში.

ტექსტი რამდენჯერმე გადაკეთდა ხალხის
მიერ. ეს ერთ-ერთი ვერსიაა.



ალილო რაჭაში

შობა ღმერთმა გაგიტენოთ
 შობის ახალ წელიწადი
 ჩვენ ხომ მთოულები არ ვართ
 ქრისტეს მახარობლები ვართ.
 ჩიტი შემოჯდა ოლესა
 იძახდა მარობასა
 ღმერთმა უველა დაგასწროს ეე
 აღდგომა-მარობასა.
 ე მკელი მიტომ მოკვალდი
 თხა შემიჭამა ნისლაო
 ნათლი დედა, გამისტუმრე
 სხვაგანაც მინდა მისულაო.
 არიელი მარული
 ნუ გამიშვებ წარიელი,
 ამოუანვიე გურიჭები,
 დაგეზრდებიან ბიჭები,
 ამოუანვიე გროშები
 დაგეზრდებიან ბოშები,
 ვინცა გუაუდეს ჯარში
 მოგივიდა სახლში
 ვინცა გუაუდეს დაკარგული
 მოგივიდეს დაბარგული.
 ალილო!

ტექსტი მოგვანოდა
პოეტმა ვაჟსია ბავაშვილმა



გილოცავთ!

სულ რამდენიმე დღა რაც დროის წისქვილში დაფქულმა, არაქათგამო-
ცლილმა, ცოდვებით დამძიმებულმა, გაცვეთილ-გაუფერულელებულმა და
დაწურულმა ძველმა წელმა მჭიდროდ გაიხურა კარი და ჟამთა აღმწერლის,
ისტორიის საკუთრება გახდა.

კარი შემოაღო უმწიკვლო, სიკეთით გაცისკროვნებულმა, იმედებით
აღსავსე ქათქათა და სპეტაკმა ახალმა წელმა.

გილოცავთ ახალ წელს!

გისურვებთ: წელთა სიმრავლეს, ჭერის სიმაღლეს, გულის სიმჩატეს,
თვალთა სინათლეს, ძეთა სიმრავლეს;

ბელლებს - ავსებულს, ქვევრებს - დალიცილიცებულს, კერას - კვამლიანს,
სოფლებს - ხალხიანს,სუფრას - ხვავიანს,ხეებს - ნაყოფით, ოჯახს - ბავშვებით
დახუნძლულს და რაც მთავარია, ერსა და ქვეყანას გაერთ- გამთლიანებულ
- განმტკიცებულს;

გისურვებთ: ჭეშმარიტ მორწმუნეთა მომრავლებას, ქრისტესმიერი
სიყვარულის აყვავებას, ურთიერთპატივისცემის გრძნობის გაღვივებას,
ერთმანეთის სამსახურში გახარჯვის უნარის მომადლებას, სამოყვრ -
სამეხოზლო ხიდ - ბოგირების შენებას, სამშობლოდან
გადახვეწილთა დაბრუნებას, შვილებისა
და მშობლების ერთ ჭერქვეშ და-
ბუდებას და ყველაზე მთა-
ვარსა და უმთავრესს,
კაცობრიობისათვის
ყველაზე სანუკვარს
- მშვიდობას!



ეკატერინე
ჭიჭინაძე

ამბროლაურის მუნიციპალიტატი
ველევის საჯარო სკოლის დირექტორი

19 იანვარს ქრისტიანული სამყარო ნათლისღებას აღნიშნავს



ნათლისღების დღესასწაულზე და მის წინა დღეს ყველა მართლმადიდებლურ ტაძარში სრულდება წყალკურთხევა დიდი აიაზმის წესით და ნაკურთხი წყალი ურიგდებათ მორწმუნეებს. ამ წყალს უფლის მიერ კურთხეული იორდანის მაღლი ეძლევა და, ჩვეულებრივი წყლისგან განსხვავებით, არ იხრწნება. ის შეგიძლიათ მთელი წლის განმავლობაში შეინახოთ და განსაცდელისა და ავადმყოფობის დროს მიიღოთ.

ნათლისღება - ეს არის დღე, როცა უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ მდინარე იორდანიაში სიმდაბლით იოანე ნათლისმცემლისგან ნათელილო და წყალი ხრწნილებისაგან განწმიდა, რათა მის მიერ ცოდვათა მოტევება მოენიჭებინა ჩვენთვის.

მაცხოვარმა თვითონ კი არ მიიღო სინმიდე ან, როგორც უცოდველი, განწმედას კი არ საჭიროებდა, არამედ ნათელილო ჩვენი შეწვევისათვის, შემუსრა ეშმაკი და განწმედილი წყლით ჩვენი უსჯულოება განბანა.

ნათლისღებისას სულიწმიდის საიდუმლო მოქმედებით ქრისტიანი ქრისტეს სხეულს, ეკლესიას უერთდება. საიდუმლო კი მაღლის უხილავ მოქმედებაში მდგომარეობს: წყალი სხეულს

განწმენდს, სულიწმიდა კი გონებისათვის მიუწვდომლად თვით სულს განბანს. განა ეს საკვირველია? – უბრალო მაგალითი მოვიშველიოთ: როცა ცეცხლი რკინის სიზრქეში შედის, ყველაფერი ცეცხლად იქცევა. ამ დროს ცივიც ცხელდება და შავიც ნათდება. თუკი ნივთიერი ცეცხლი რკინაში შეღწევისას ასე დაუბრკოლებლად მოქმედებს, რაღა გასაკვირია, რომ სულიწმიდა სულის სიღრმეში აღწევდეს? (კირილე იერუსალიმელი).

ამ დღეს ღვთის განცხადება ეწოდება, რადგანაც სწორედ მაშინ განცხადდა პირველად სამება – ძე ნათელს იღებდა, სულიწმიდა მტრედის სახით ჩანდა, ხოლო ციდან ისმოდა მამის ხმა: „ესე არს ძე ჩემი საყვარელი, რომელ მე სათნო ვიყავ“.

ტროპარი:

რაჟამს იორდანეს ნათელ იღე შენ, უფალო, მაშინ სამებისა თაყვანისცემა გამოსჩნდა, რამეთუ მამისა ხმა გენამებოდა, და საყვარელად ძედ სახელ-გდვა შენ, და სული წმიდა სახითა ტრედისათა დაამტკიცებდა სიტყვისა მის უცდომელობასა, რომელი განცხადენ, ქრისტე ღმერთო, და ყოველი სოფელი განანათლე, დიდება შენდა.

კონდაკი:

განეცხადე დღეს ყოველსა სოფელსა და ნათელი შენი უფალო ან მოისახა ჩუენ ზედა, მეცნიერებით მცნობთა მათ შენთა და განსცხადენ ნათელო შეუხებელო.



27 იანვარი წმიდა ნინოს ხსენების დღეა



საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, 27 იანვარს მოციქულთა სწორის, წმიდა ნინოს ხსენების დღეს აღნიშნავს. წმიდა ნინო წარმოშობით კაბადოკიის ქალაქ კოლასედან იყო. მისი მამა - ზაბულონი საფრანგეთის განმანათლებლად ითვლება. მოციქულთა სწორი ქალწული ნინო საქართველოში, დაახლოებით, 323 წელს ჯავახეთის მთებით შემოვიდა. მას ღვთისმშობლის მიერ ბოძებული ვახის ჯვარი ეპყრა ხელში.

წმიდა ნინო ფარავნის ტბასთან ორი დღე შეჩერდა და მეთევზურთაგან მირთმეული საკვებით ძალა მოიკრიბა. დასასვენებლად მიწაზე მიწოლილს ძილში ბრწყინვალე კაცი ეჩვენა, რომელმაც დაბეჭდილი წერილი მისცა და უთხრა, რომ წერილი წარმართთა მეფისთვის მიერთმია, რადგანაც ამისთვის იყო მოვლენილი. წერილის თავში რომაულად იესოს სახელი ეწერა და, როგორც მოსეს ქვის ფიცრებზე, ათი სიტყვა იყო დაწერილი.

ქართველთა განმანათლებლისა და მოციქულთა სწორის, წმიდა ნინოს ქადაგებით, საქართველოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად 326 წელს გამოცხადდა. ამ დროს სამეფო ტახტი მეფე მირიანსა და დედოფალ ნანას ეპყრათ.

წმიდა ნინოს ხსენებას საქართველოს ეკლესია წელიწადში ორჯერ დღესასწაულობს: 1(19) ივნისს მისი საქართველოში შემოსვლა აღინიშნება, ხოლო 27(14) იანვარს - გარდაცვალება.

მავინ იწყობ სიტყუად ნინო და თქუა:

...და ვითარცა ვიქმენ მე ათორმეტის წლის, მშობელთა ჩემთა განყიდეს ყოველი, რააცა აქუნდა, და წარვიდეს იერუსალემდ. მაშინ მამამან ჩემმან დაიწერა ჯუარი პატრიაქისაგან და განიჯმნა დედისაგან ჩემისა. და შემიტყებო (ჩამიხუტა) მე მკერდსა მისსა და დამალუარნა, ვითარცა ღუარნი, ცრემლნი თვისნი თუალთა და პირსა ჩემსა. და მრქუა: „შენ მხოლოვო ასულო ჩემო, ესერა დაგიტევებ შენ ობლად ჩემგან და მიგიუთალავ შენ ღმერთსა ცათასა, მამასა ყოველთა მზრდელსა და უფალსა, რამეთუ იგი არს მამაა ობოლთა და მსაჯული ქურივთა. ნუ გეშინინ, შვილო ჩემო! ხოლო შენ მაგდანელისა მარიამის შური აღილე სიყუარულისათვის ქრისტესისა და დათა მათ ლაზარესთა. და თუ შენ ესრეთ გეშინოდის მისა, ვითარცა მათ, მან ეგრეთ მოგცეს ყოველი, რააცა სთხოვო მას, ოდეს რა გინდეს მისგან“. და მომცა ამბორება საუკუნო და წარვიდა წილ იორდანესა კაცთა მათ თანა ველურთა, რომელ-რაე ყოფა მისი იცის მისმან უფალმან იესუ.


მოქცევა ქართლისა, შატბერდის კრებული

ტროპარი:

სიტყვისა ღმრთისა მსახურთა თანამოსაგრეო და ანდრიას ქადაგებისა წარმართებო, ქართველთა განმანათლებლო და სულისა წმიდისა ქნარო ნინო, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩუენთათვის.

კონდაკი:

მოციქული ქრისტესგან გამორჩეული, ქადაგი სიტყვისა ღმრთისა განსწავლული, მახარებელი ცხოვრებისა, წინამძღვარი ქართველთა ერისა გზათა სიმართლისათა, დედისა ღმრთისა საკუთარი მონაფე ნინო შევამკოთ დღეს ყოველთა ძნობითა საღმრთოთა, მეოხი მხურვალე, მცველი დაუძინებელი.




ტრადიცია

სახალწლო

ჩიჩილაკი

საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში სიცოცხლის ხის ვარიანტები ფართოდაა გავრცელებული და ჩიჩილაკიც მიჩნეულია ამ ხის ერთ-ერთ სიმბოლოდ. იგი, როგორც ხვადრიელების სიმბოლო, მზადდებოდა წლის განახლების დღესასწაულზე. მოჭრიდნენ თხილის მომსხო ჯოხს, გაახურებდნენ ცეცხლზე და იწყებდნენ ბურბუშელას აცლას იქამდე, სანამ მთელი ღერო არ დაიფარებოდა საფარით, ე.წ. „ბასილის“ წვერებით. გავრცელებული ყოფილა აგრეთვე ამ ხის მორთვა-მოკაზმვა, სხვადასხვა საგნებით - სამკაულებით, ნაკეთობებით, ხილით, ჭრელი წინდებით, ფერადი აბრეშუმის ძაფებით. ჩიჩილაკის გავრცელების არეალი დასავლეთ საქართველო იყო. ამჟამად ის მთელ საქართველოშია გავრცელებული და ახალი წლის ერთერთ სიმბოლოდაც არის მიჩნეული.



გოზინაყი



გოზინაყი საახალწლო სუფრის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნუგბარია. გოზინაყს ძირითადად ნიგვზისაგან ამზადებენ. ოჯახში ტრადიციულად ერთ ადამიანს ევალება ამ სადღესასწაულო რიტუალური ტკბილეულის დამზადება. საგოზინაყედ არჩევენ ღია ფერის დიდ ჯანსაღ ლებნებს, თხლად ჭრიან, ხალავენ და რამდენიმეჯერ ადუღებულ და გაციებულ თაფლში ურევენ, შემდეგ აბრტყელებენ ხის დაფაზე და რომბულ ნაჭრებად ჭრიან.

ჩურჩხელა




ქართული საახალწლო სუფრის მშვენებაა ჩურჩხელა — რომელსაც ნიგვზისა და ბადაგის — ყურძნის დადუღებული წვენიდან ამზადებენ. ჯერ ბადაგისა და პურის ფქვილისგან თათარას მოადუღებენ და შემდეგ ძაფზე აცმულ კაკლის აჭრილ ლებნებს ამოავლებენ, გაკიდებენ ხარისხაზე და ჰაერზე აშრობენ. ჩურჩხელების ამოვლების რიტუალი რთველის შემდეგ ტარდება და ყველასათვის საყვარელ საოჯახო დღესასწაულად ითვლება. კაკლის მთლიანი გულისგან გაკეთებულ ჩურჩხელას „გორგომიჭელას“ ეძახიან. ჩურჩხელა ძალზე კალორიული და ნოყიერი საკვებია, ამიტომაც ძველად საქართველოში მას ომში წასულ მეომრებს საკვებად ატანდნენ.



მთხვათეკა

ახალი წელი



ქართულ სახალხო-რელიგიურ დღესასწაულებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ძველი წლის გაცილებისა და ახალი წლის დადგომის ცერემონიალს. ახალი წლის შეხვედრის რიტუალი წარმართული დროიდანაა ცნობილი. სარწმუნოებრივ შეხედულებათა ცვალებადობის მიხედვით იცვლებოდა ახალი წლის შემოსვლის დრო და რიცხვი. ახალი წლის პირველ დღედ 1 იანვარი XVII საუკუნიდან დაწესდა. ახალი წლის შეხვედრას საქართველოში გარკვეული წესი ჰქონდა, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მაგიურ ელემენტებს: თოფის გასროლას, ჩიჩილას, მეკვლეს, საახალწლო სუფრასა და ლექს-სიმღერებს. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი მიიჩნეოდა მომდევნო წლის განმავლობაში ბედნიერებისა და მატერიალური კეთილდღეობის განმსაზღვრელად.

ბედობა (კუჩხა)

ქართული ტრადიციის მიხედვით, 15 იანვარი ბედობის დღეა. დასავლეთ საქართველოში მას კუჩხას უწოდებენ. ამ დღისთვის ირჩევენ მეკვლეს (ფეხადს), ანუ ადამიანს, რომელიც ოჯახში პირველი შეადგამს ფეხს ახალი წლის დადგომის მერე. მეკვლემ უნდა მოიტანოს საჩუქარი (ტკბილეული), გაისროლოს თოფი და დაანთოს ბუხარი, რათა ბედნიერება დააბედოს ოჯახს. ამ ტრადიციას ეძღვნება ქართული მოკლემეტრაჟიანი ფილმი „კუჩხი ბედინერი“.



საახალწლო სუფრა

ქართული სუფრა, მით უმეტეს, თუ კი იგი საზეიმოდ იმლება, საცივის გარეშე წარმოუდგენელია. ტრადიციაა, რომ საახალწლო სუფრას ინდაურის საცივი უნდა ამშვენებდეს. ასევე, შემწვარი გოჭიც. საახალწლო სუფრას საცივის გარდა ამშვენებს ხაჭაპური. საქართველოში ძალიან გავრცელებულია ნიგვზიანი საჭმელები, ძირითადად ფხალეული. მჭადი, ღომი, ლარჯი დასავლეთ საქართველოშია პოპულარული, ძირითადად სამეგრელოში. მწვადი სუფრის მშვენებაა. სუფრაზე ის შემოაქვთ როგორც შამფურზე აცმული, ასევე, კეცზე შემწვარი.





გივი სიხარულიძე

შედეგთა დღე წიგნეობის წინაშე

სუსხიანი თებერვლის მიწურულს და გიჟ-მაჟი მარტის გასაყარზე დაიბადა. ღმერთმა რჩეულად მიიჩნია, მიხედა, პირველი გარდასახა და ღვთისმშობლის ხელის გულზე გაუშალა სარეცელი. რჩეულად-მეთქი, ვთქვი, ასეა, სწორედ! გულში მზე ჩაუსახლა, სულში კელაპტარი აუნთო. ცხოვრებისეული ტაბლა გახსნა და ნიჭიერებით მოსილი ფარდაგი შემოახვია შარმათ. არავინ იცოდა როგორ შეეთვისებოდა ერთურთს ეს უოველივე, მაგრამ დრომ, რომელიც წესისამებრ აკარგიანობის მოციქულია, დრომ მისცა ზეობის არსი, ფესვმაგარი მუხასავით გაიტოტა მასში ნიჭიერება, გოგლასეული ნატვრის ხესავით მრავალფეროვანი გახდა მისი შესაძლებლობები, რომელიც გაშლილ, 90°-იან კუთხესავით სწვდება ჰორიზონტს. ათას სიგიჟეს სჩადის, როგორც ამას თანამედროვენი ამბობენ, ამ სიგიჟეშიც კი სიბრძნე დევს სწორედ. კალამი - სხარტი და მრავალწახნაგოვანი, აღნაგობა - აწვართული და ათლეთური, გული - მზის აკვანი, სული - კელაპტარი, გონება

- ცათა მწვდომი... ამბობენ, მზეს გავს და მზეს არ ეპაექრებიანო (ვახტანგ ღლონტი), თუმცა ხშირ შემთხვევაში პლანეტათა შორისაც ირღვევა ბალანსი, მასთან შეტაკებით ხან კატაკლიზმებს ვიწვნევთ, ხანაც წმინდა, ადამიანურ შენდობა-დანდობის მოწმენიც ვხდებით...

ალბათ გიკვირთ, ვინ არის ამ მონოლოგის გმირი? - რჩეული, ღვთისგან ხელდასმული და ნიჭიერებით გაბრწყინებული, ჩვენი დროის უდიდესი ნოველისტი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე გივი სიხარულიძე. მას ნიკო ლორთქიფანიძის პრემია ამშვენებს, მის წიგნებს მსოფლიო კითხულობს, იბეჭდება ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებში, 19 წიგნის ავტორია და შვიდ ენაზეა ნათარგმნი. შემოქმედება ნოველების „მარგალიტების ასხმულა“ (მანანა ჩიქოვანი), მარგალიტების, დიახ! ის XXI საუკუნის მწერლობის სამშვენისია, ვილაცა ამბობს, თანამედროვე ლიტერატურა გემოვნებით ვერ




ახალი წიგნი

„ნინო რახვიაშვილის გამოცემლობიდან“





წიგნის თარო



დაიკვებნისო. ხშირ შემთხვევაში დაგეთანხმები, შენ, ამ სიტყვების ავტორს! მაგრამ მარტო დეისაძე-ქარუმიძეებითა და მათი მსგავსებით ნუ საზღვრავ ლიტერატურულ ბარომეტრს, რომლებიც არათუ წიგნის თაროს, ნაგავსაყრელსაც კი დააბინძურებდა, თურმე „ტულეტში“ გენია იბადება!!! იქ წერას სხვა შარმი აქვს!!! სწორედ რომ დაქცეულა ჭვეჭანა! ამ დროს ლიტერატურულ პოლიგონზე გ. სიხარულიძის შემოქმედება ჩნდება, „იმედის ხაზები“, სადაც XX-XXI საუკუნის ცხოვრების ტკივილი, დატოვებული ოჯახების და საშოვარზე წასული ქალების პრობლემა მწარედ და რეალურად არის ასახული, იმედგაცრუებული ბავშვის ყოფა ხომ უამრავი მოზარდის ცხოვრებაა.

„თრობის სურნელი“ - სულისა და გარემოს შტრაუსის სიმფონიაა. „სტივენის როიალი“ ზოგად-საკაცობრიო ტკივილის გაზიარება, სიკვდილის ყუთის არსი, „ნამურის“ ისტორია, რომელიც ერთი ამოსუნთქვით იკითხება.

მწერლის ოსტატობა იქიდან სჩანს, რომ აზრს ლაკონურად გადმოსცემს და შენ, მკითხველს სიუჟეტის თანაავტორად გხდის.

ასეა თუ ისე, ძვირფასო მკითხველო, გ. სიხარულიძის შემოქმედება ცხოვრების გადაშლილი წიგნია, თავის ავ-კარგით, იგი ყოველი ოჯახის სამაგიდო წიგნად უნდა იქცეს. მან მოკლედ, ნოველისტიკის უანრის ჩარჩოს გათვალისწინებით, სხარტი და გამართული თხრობით, თვალწინ გადაგვიშალა XX საუკუნის ცხოვრება და ისტორიას პროზის სახით გადააბარა ფაქტობრივი დოკუმენტალური მასალა.

მისი შემოქმედება ერთგვარი სკივრია თვალ-მარგალიტით აღსავსე, რომელთა ერთობლიობა ხან კარგად აწყობილ კლასიკური გიტარის ჰანგებს მოგვაგონებს, ხანაც საყვირის ხმას გამოსცემს, ხან კიდევ ზურნასა და დუდუკების მულოდიურ ნოტაზე გადაგვაწყობს, აგვაცრემლებს და სევდით აღგვავსებს. ბუნებით შლეგი, მოუსვენარი თავად ბატონი გივი მდინარე თერგივით მუდამ ბობოქარი და დაუშრეტელია, გრძელი სიტყვის მოკლედ მთქმელი, XXI საუკუნის ქალაქური ნოველების ოქროს კალმოსანი უკვე 19 წიგნის ავტორია.

ის მწერალია, მსახიობია, სპორტსმენია, ჟორეოგრაფია, ის ადამიანია-ადამიანი! - ეს მისი ყველაზე დიდი პროფესიაა, რომლის გულის მონაწურია სწორედ ქალაქზე ფაქიზად დაწყობილი ფრაზები, კადრებად გადაშლილი სიუჟეტები, ამეტყველებული ფოთლები, ზღვის კენჭები, ძაღლები, როიალის დეკა. ღრმად ფილოსოფიურია მისი შემოქმედება, წმინდა ფსიქოლოგიურ-ექსცენტრიულია მისი ყოველი ფრაზა თუ ტაეპი, ორიგინალურია მისი სიუჟეტური ახსნა თრობისა და მისით გამოწვეული სურნელება. ნოველები ხალასად იკითხება, მიზიდულობის კანონით არის გაჟღენთილი, იწყებ კითხვას და მწერლის

გახალხურებული, განზოგადებული ენობრივი ეფექტი, მაღალი სიუჟეტური ხელოვნება წიგნთან განშორების საშუალებას არ გაძლევს. აღსანიშნავია ნოველების ლოკალური დრო და სივრცე, სიტყვის სისხარტე და განზოგადება. ყოველივე ეს ქართულ, რეალურ სამოსშია გახვეული, სამოსში, რომელსაც თავად მწერალიც ხშირად ატარებს, ეს მისი განვლილი გზაა. გზა, რომელსაც ასახავს ახალი წიგნი „მიიღეთ იგი როგორც არის“. წიგნი განსხვავებული ფორმატით გამოიცა, მკითხველს საშუალება ექნება გაეცნოს მწერლის ახლად შექმნილ ნოველებს და ლექსებს, რომელთა ბეჭდური ნათლობა უურნალ „რაჭველებსა“ და „სამეგრელოში“ შედგა. წიგნი ასახავს მწერლისადმი მიძღვნილ ფრაზებსა თუ ტაეპებს, მის ცხოვრების ამსახველ ფოტო-ალბომს და ბოლოს, კიდევ ერთხელ შეგვახსენებს მის მრავლისმეტყველ ბიოგრაფიულ შტრიხებს.

წიგნი მეტად სასიამოვნოდ იკითხება, უფრო მეტიც, მისი ყოველი გაშლილი ფურცელი კინო კადრების ერთობლიობას ქმნის, მთლიანად წიგნი კი მხატვრულ-დოკუმენტალისტურ ასოციაციას იწვევს. კითხულობ და ხედავ, ხედავ და გესმის, უამრავი აღფრთოვანებული მკითხველი, წარმატებული ვერდიქტი - აქ არის სწორედ მწერლის მაღალი ხელოვნება და აღიარების გასაღები.


წიგნის უცვლელი რედაქტორია პოეტი ვახტანგ ღლონტი. ხოლო ელექტრონულად აიწყო და დაკაბადონდა „ნინო რუხვიაშვილის გამომცემლობაში.“

* * *

ქმდგნება ვახტანგ ღლონტს

მიწასე დადინარ,
 მიწას არ ეხები,
 სეცაში დაფრინავ მუხით,
 დროებით ეავხარ ღმერთს ჩამოშვებული
 ამ ღვთიურ მიწასე ღუხით,
 ამიტომ დადინარ დედამიწასე
 მოძვებიანი ტუხით,
 რადგან ფასი იცი შენი ზოეხიის
 ვერავინ გნახავს კუხით.
 დღეს მართალია სადღაც საჭკებთან
 მედროვე ზოეტნი უხით,
 ეველას ექვსიანი უჭირავს ხელში
 შენ კი ანადგურებ ტუხით.

გივი სისარულიძე





ქალი



მზისაა მანქანა მუსმუსი ქალის მზრუნველი

ქალი მშვენიერების მინიერი გამოვლინებაა. თუ ბუნებით ქალი ლამაზია, მაშასადამე ბუნებამ და გენმა მისდაუნებურად საჩუქარი გაუკეთა, ჭკვიანი ყოველთვის აცნობიერებს ამ მაღლის ფასს, ფასს გარეგნულიდასულიერისიმფონიური ჟღერადობისას. ჭკვიანმა ქალმა კარგად იცის ვიოლიონოს გასაღების არსი, მისი სულის ჰანგები ხომ კარგად ანყობილ ვიოლინოს ხმებს გამოსცემს, სული გულს უსმენს და გული გონებას. მაღლიერია ამ ღვთიური საჩუქრისა, რომელსაც დიდი პასუხისმგებლობით, სიფრთხილით და სიფაქიზით ეპყრობა.

სულით რომანტიკოსი მუზების შემოტევას ვედარ გავუმკლავდი, როდესაც ფოთში ჩემი სტუმრობის დროს ამ პატარა ჩანახატის გმირი ვიპოვე. ლამაზი? - არა, ეს ის სიტყვა არაა, სხვანაირად ლამაზი, სათნოებით აღვსილი და მზისგან პირნაბანი, სხივნათელი სახით მომზირალი.

ნინო ბაკურაძე ყველასგან განსხვავებულია. აი, როგორც ხალხში იტყვიან, იმდენად ეფექტურია, ათას ქალში გამოარჩევო.

თვალი დავადგი და იქვე გონებაში აზრმა მისი ფაბულის ბადე მოქსოვა. ამ ბადის ლაბირინთებიდან რომ გავიჭყიტე კიდევე უფრო დიდი ხელოვნების ხელთუქმნელი სახე დავინახე, სხეულის სილამაზე მეტაფიზიკური მოვლენაა, მას ისევე უნდა აღქმა, წვდომა, მოპყრობა, როგორც ხელოვნების ნიმუშს. საკუთარისილამაზისსიბრძნესნაზიარებიქალბატონი ნინო ღვთიურ მაღლს ასხივებს, მისი სიყვარული დიდ



**ქალია დილა, მიწა,
- ქალი საღამო,
- ქალი, წვიმა ქალი...
ვევლავერი ქალივით მიუვარს...
/მ. მაჭავარიანი?/.**





ქალი



სულიერ სიღრმეებს სწვდება, სითბო და სინათლე შემოაქვს თავის ირგვლივ. ეს ის შემთხვევაა, როცა სილამაზე არის ფასეულობა, რომელიც შეიძლება დაუკავშირდეს სიბრძნეს.—აი, ასე იცნობენ ქალბატონ ნინოს ფოთში. ძნელია მის სახლთან მიხვიდე და გაჭირვებულ, შემწვობის მთხოვნელთა რიგი არ დაგხვდეს, იციან ნინოს ფასი, მისი გულის კარნახის კარგად ნამკითხველნი არიან. ითხოვენ და ქალბატონი ნინოც უშურველად გაცემს. მის ქველმოქმედებას მინიერი სამსახური ჰქვია, ის უფალმა დანიშნა და რჩევა მისცა. ქალბატონი ნინო ხომ ღმერთის რჩეულია, ასე აღზარდეს მშობლებმა, უფალმა რაღაც სახით სიკეთის ნაპერწკალი უბოძა, ნინომ კი გამოცდა წარმატებით ჩააბარა — გაცემს და მადლს არ წონის.

ნინო ბაკურაძე წარმოშობით რაჭველია, ონის რაიონიდან. მართალია საკუთარი კუთხის შესახებ ბევრი რამ არ იცის, ის ბაკურაძეების ოჯახის უკვე მეხუთე თაობაა, ვინც თავის დროზე რაჭიდან წამოვიდა, მაგრამ კარგად აცნობიერებს კუთხის სიღიადესა და რაჭველი ხალხის ფასდაუდებელ ღირებულებებს — სიბრძნეს, სიღინჯეს, გონიერებასა და შორსმჭვრეტელობას. ამბობს ჩემში



ლუკა მირცხულავა

იმდენად შერწყმულია რაჭულ-მეგრული გენების ერთობლიობა, რომ საჭირო დროს ხან მეგრელობას ვგრძნობ და ხანაც რაჭველობას. სისხლის ყვილი თავისას შვრება, გენი არ იკარგებაო. თბილისში დაიბადა, მაგრამ იმის გამო, რომ დედა ფოთელი იყო, ოჯახი ფოთში დასახლდა. აკადემიური განათლებაც მიიღო. თუმცა ლამაზი, ცქრიალა გოგონა მეგრულ თვალს შეუმჩნეველი არ დარჩენია და ჯერ კიდევ 17 წლისაც არ იყო, როცა მეუღლე გახდა. უმაღვე ვაჟი შეეძინა. მოხდა ისე, რომ ინსტიტუტის დამთავრების დროს შვილი სკოლაში შეიყვანა, თითქოს დედა-შვილმა ბავშვობა ერთად განვლო, ამბობს, რომ პატარა ასაკმა მეტად შეუნყო ხელი შვილებთან დაახლოებაში, მან ბავშვები მეგობრულად აღზარდა, მათი დამოკიდებულებმა არა მკაცრი, არამედ შეგნებული და გააზრებული იყო. შვილებს წიგნი შეაყვარა და სამყაროს საიდუმლოს ენა ასწავლა; — ქვეყნის სიყვარული და ერთგულება, კაცთმოყვარეობა, შეწყალებისა და მადლის გაცემის უნარი დაანათლა.


დღეს ქ. ნინო ორი უჭკვიანესი ვაჟყვაცის დედა და ერთი შვილიშვილის, პატარა ლუკას ბებიია. ამავე დროს იგი ფოთის პროფესიული სწავლების ცენტრ „ფაზისის“ ხელმძღვანელია, ზრდის თაობებს და გადასცემს ერს და ქვეყანას.

უყვართ, პატივს სცემენ და აფასებენ. ფოთელებისთვის ნინო ბაკურაძე საამაყო რძალი, ღირსეული დედა, კეთილშობილების გამოვლინებაა. ის ხომ მზესავით იწვის და ანათებს. მის სხივთა ფრქვევა მოზღვავებული სიკეთის სახით ფოთელთათვის სითბოსა და შვების მიმნიჭებელია.

მადლი მის გამჩენს და დედა ბუნებას, ვინც ამ ლამაზ სხეულში ლამაზი სული ჩააქსოვა.

მრავალ ახალ წელს, ბედნიერად, ქალბატონო ნინო.

ნინო რახვიაშვილი



ნიკო ლორთქიფანიძე

„იქ, სადღაც შორს ბეთლემში, ცხრამეტი საუკუნის წინათ, ცა მოჭადილ ღამეს მღვიმეში დაიბადა იესო, კი ქალწულის მარიამისა, მაშვრალთა იმედი და ნუბეში, ტანჯვის შეამასუბუქებელი, სიკვდილთა სიკვდილის დამთრბუნველი...“



საშობაო მინიატურები

სარაცელაჲ

—ნუ გეშინია, შვილო, ექიმმა თქვა: ყველაფერი აჭამეთ, რაც კი მოისურვოსო. პირში მაინც გამოივლე შაქრის ყინული... ტკბილია...

გიაგება. აი ამ ანგელოზის ქანდაკებას მოკიდე ხელი... მთელ ქალაქში ერთი იყო და შენ მოგიტანე. ნუ გეშინია, შვილო, დამშვიდდი. აი ასე, ასე ამოისუნთქე... გაგივილის. ახლა უმწვერვალესი ნუთია ავადმყოფობისა, აი, დაგიკლებს სიცხე...

ბავშვის პატარა ხელებს მოხვდა ცივი მარ-მარილოს ქანდაკება: იამა, გახურებულ მკერდზე მიიკრა და გაყურდა ბავშვი. დედა კი ნელა უსვამდა ხელს ოფლიანს შუბლზე, უსწორებდა გაჩეჩილ თმას. მერმე ჩაიკეცა და მიითვლიდა.

აგონდება ქალს პირველი ამბორი — განა ეს გარდამქნა არ იყო.

აგონდება ქალს როგორ დაიძრა სხეულში ახალი ადამიანი.

აგონდება ქალს, როგორ ტანჯვითა შორის ქვეყნად იშვა მისი ბიჭი, ახლა კი ბავშვს ამ შობის ღამეს, როგორ წაართმევს ღმერთი?!


ბავშვს კი გულში მაგრა ჩაუკრავს ანგელოზის ქანდაკება, სუნთქვა უსუსტდება და ნელ-ნელა ახალ ცხოვრებას იწყებს.

საქართველო იყიდება

იყიდება საქართველო, მინდორ-ველით, მთა-გორით, ტყით, ვენახით, სათესით; წარსულის ისტორიით, მომავალი სვე-ბედით, მშვენიერის ენით, ნაქარგი ფარჩა—ხავერდით; ვაჟკაცური ხასიათით, სტუმართ-მოყვარეობით; დიდებულის სანახაობით, წმინდა ჰაერით; ნაამაგვევი სახლით და კარით; ჩუქურთმიანი მონასტრებით და ეკლესიებით; მოკაშკაშებული ცით; ერთი, ბერთი; თვალწარმტაც ბანოვანთა გუნდებით; გონებაგახსნილი ვაჟებით; მალხაზი ბავშვებით; ვერცხლისფერ თმით შემოსილ პატივსადებ მოხუცებით; იყიდება საქართველო დედითა და მამით, შვილით და ძირით, ძმით, დით, ცოლით და ნათესავ-მოყვრებით.

ყიდის ყველა: ქუჩაში და სახლში, თეატრში და სასამართლოში, სასწავლებელში, სატუსალოში, ეტლში, მატარებელში, დილით და ღამით, სიცხეში და სიცივეში, დარში და ავდარში.

იყიდება ერთიანად: შავი ზღვიდან კასპის ზღვამდე და ოსეთიდან სპარსეთამდე. იყიდება ნაწილ-ნაწილ: კახეთი და იმერეთი სვანეთი და სამეგრელო, გურია და ლეჩხუმი, რაჭა და ჯავახეთი. იყიდება პატარ-პატარა ნაჭრებით, ვისაც რამდენი



სურს და როგორც უნდა: ნისიათი უფასოდ, ნაღდად, დროებით და სამუდამოდ; ბანკის საშუალებით და ჩვენის დახმარებით.

იყიდეთ ბარემ მთლად, განენეთ და გაგლიჯეთ, რასაც საქართველო ერქვა და რაც დღეს ოხრადდარჩენილი აძლებს ყორნებს და გულს უკლავს უძლურ ჭირისუფალს!

ბრმა თერძი

ხელის ფათურით მონახა ლევანა თერძმა კარების გასაღები, შეჩერდა, რაღაც გადანყვიტა და კარები გააღო. სუფთა ცივმა ქუჩის ჰაერმა, თითქოს შიშით დაიხია უკან და გზა მისცა შმორის და ოფლის სუნით გამსჭვალულ ოთახის ჰაერს.

—ქალო, გზა გამიკვლიე, ვერას ვხედავ!...

—ჩუუ!..—იმავე ნამს უპასუხა ვილაცამაც, —მოიტა ხელი აბა, ფეხაკრებით. ბავშვები, როგორც იქნა, დავაძინე, — ფურჩუნით ეუბნებოდა დამხდომი, — ეცადე, ლოგინის კედელზე მოეთავსო, ბავშვები კედლისკენ დავანვინე.

—სუფრასთან მიმიყვანე. რომ გაიღვიძონ, რაღა ექნათ, არაფერი მომიტანია, ქალო!

—რატომ? — ყრუდ ჩაეკითხა ქალი.

—რატომ? რატომ? რატომ და თვალი აღარ ჭრის; ჩემი გავლებული გვირისტი სულ დასარღვევი გაუხდათ. დუგმები უკულმა დავაკერე. გამლანძღეს, გამათრიეს და ისე გამომიშვეს...სამართლიანადაც. რათ ჩავიდგი შენს ცოდვაში ფეხი. რათ მოვიკიდე მისუსტებულ ზურგზე სამი ადამიანის სვე-ბედი. მთლად დავბრმავდებოდე მაინც... თავშესაფარში მიმიღებენ...

—არაფერია კაცო, ნუ გმობ ღმერთს...

—არ ვგმობ, პირიქით, თაყვანსა ვცემ მის კანონს... ღირსი ვარ, მე ყველაფრის ღირსი ვარ, მაგრამ თქვენ... თქვენ?! ხვალ ძაღლებიც კი ხორციით გაძლებიან: ზოგს გადაუგდებენ, ზოგიც მოიტაცებს...თქვენ კი? ანაცრელი მჭადი მაინც გქონდესთ.

—დედა, მოვიდამამა? — კნავის მისუსტებული ხმით ბავშვი...

ბრმა თერძის ავადმყოფ თვალებს სწვავს ცრემლები...

იქ, სადღაც შორს, ბეთლემში, ცხრამეტი საუკუნის წინათ, ცა მოჭედილ ღამეს დაიბადა იესო, ძე ქალწულის მარიამისა, მამურალთა იმედი და ნუგეში, ტანჯვის შემამსუბუქებელი, სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი...

მე ქართველი ვარ!

დღეს დავიბადე ვანთიადის ქაშს და უკვე ვიცი - მე ქართველი ვარ! უმაღლესი შევიგრძენ მშობლის ამბორით. დედის რძის ძალით - მე ქართველი ვარ!

უტკბესი „ნანას მოსმენისთანვე. გულში იელვა - მე ქართველი ვარ! დედის ცრემლიან სინარულს ვუმზერ და მინარია - მე ქართველი ვარ!

აღგეთელ ლეკვთა სისხლი მიეივის. მტერს ეშინოდეს - მე ქართველი ვარ! რუსთველი, ვაჟა, ილია გამზრდის. ზვიადის მოდგმის, მე ქართველი ვარ!

გორგასალიც ვარ და - ფარსმან ქველიც. იცოდეს ეველამ - მე ქართველი ვარ! ოპიზარი ვარ, არსაკიძე ვარ, ხმამაღლა ვამბობ - მე ქართველი ვარ!

მაცხოვარის გზით, გოლგოთას ავალ, ჩემი ვალია - მე ქართველი ვარ! ბილწო არ შავუკერი, ურიცხვი ზავითა, არ მეკადრება - მე ქართველი ვარ!

შატელიონთა მეცისოვნე ვარ. რჯულს ვერ შევიცვლი - მე ქართველი ვარ! ენას და მამულს თავსაც შევწირავ, დიდება უფალს, რომ ქართველი ვარ!..

გიორგი გიგაური.
სულთმოფენობა,
თბილისი 8, 2014 წ.



ჯორჯ კობი

უდიდრესი ქართველი აპრიკაზი

დაახლოებით 1883 წელს ამბროლაურის რაიონის სოფელ თხმორში, რაჭველი გლეხის, დავით კობახიძის ოჯახში. წერა-კითხვა სოფლის მღვდელმა შეასწავლა. პატარა გიგოს დიდ ნიჭთან ერთად, კარგი ხმა და მუსიკალური სმენაც აღმოაჩნდა, მაგრამ სწავლის გაგრძელების ნაცვლად, 10 წლისა შინიდან გაიპარა, ბორჯომში ჩავიდა, სადაც მინის ქარხანაში მისი უფროსი ძმა ლევანი (ლევონტი) მუშაობდა. ოთხ წელიწადში დაეუფლა ლამის ყველა ტექნოლოგიას, რაც ქარხანაში იყო. გამომგონებლობის ნიჭიც აღმოაჩნდა - შეიმუშავა პროდუქციის გაზრდის მეთოდი. ქარხნის გამგებელმა, გერმანელმა შუმანმა ბიჭი ბორჯომის მეპატრონეს, დიდ




გრიგოლი დაიბადა 1883 წელს ამბროლაურის რაიონის სოფელ თხმორში, რაჭველი გლეხის, დავით კობახიძის ოჯახში. წერა-კითხვა სოფლის მღვდელმა შეასწავლა. პატარა გიგოს დიდ ნიჭთან ერთად, კარგი ხმა და მუსიკალური სმენაც აღმოაჩნდა, მაგრამ სწავლის გაგრძელების ნაცვლად, 10 წლისა შინიდან გაიპარა, ბორჯომში ჩავიდა, სადაც მინის ქარხანაში მისი უფროსი ძმა ლევანი (ლევონტი) მუშაობდა. ოთხ წელიწადში დაეუფლა ლამის ყველა ტექნოლოგიას, რაც ქარხანაში იყო. გამომგონებლობის ნიჭიც აღმოაჩნდა - შეიმუშავა პროდუქციის გაზრდის მეთოდი. ქარხნის გამგებელმა, გერმანელმა შუმანმა ბიჭი ბორჯომის მეპატრონეს, დიდ





მამულიშვილი



მთავარ მიხეილსა და მის მეგობარ კონსტანტინე მუხრან-ბატონს წარუდგინა.

ქებითა და ფულადი ჯილდოთი წახალისებული გიგო ჯერ თბილისის, 1902 წელს კი ოდესის შუშის ქარხანაში გადავიდა სამუშაოდ. 1903 წელს 20 წლის გიგო კრასნოდარის გუბერნიაში, დონბასის სამრეწველო ცენტრ კონსტანტინოვკაში მუშაობს ფრანგი გამანის მინის დიდ ქარხანაში. გამანის ყურადღება მისმა ათლექტურმა აღნაგობამაც მიიქცია და ჭიდაობის მწვრთნელთან მიიყვანა. მალე გიგო გამანის ფალავნად იქცა, ფულადი ჯილდოები კი მისთვის შემოსავლის დამატებითი წყარო გახდა. იქ გაიცნო მომავალი მეუღლე, მშვენიერი დაშა ნოდვიკოვა და მეგობარიც შეიძინა, შემდგომ შეერთებულ შტატებში მისი პარტნიორი, ევენი იგნატიევი.


1907 წლის გაზაფხულზე გრიგოლი პოლონეთის გავლით ჯერ გერმანიაში, მიუნხენში დასახლდა. გერმანულ სპეციალისტთა დახმარებით მინის პროდუქციის დამამზადებელ მცირე საწარმოს აარსებს, შემდეგ ინგლისში მიემგზავრება. 1908 წელს ლონდონში მინის ქარხანაში ეწყობა უბრალო მუშად. იქაც გამოადგა ცოდნა, თავისი გამოცდილება, მალე შეამჩნიეს და დაანიშნაურეს. იქაც ჭიდაობდა და ცირკშიც გამოდიოდა. მალე ფინანსურად ისე მომაგრდა, რომ ცოლიც ჩაიყვანა, მაგრამ მოშურნეები გამოუჩნდნენ. ამიტომ იძულებული გახდა, მრავალთა მსგავსად ბედი ამერიკაში ეძებნა.

1909 წელს 26 წლის გრიგოლ კობახიძე ნიუ-იორკში ჩადის. იმ დროს ამერიკის შეერთებულ შტატებში საკმაოდ იყვნენ ქართველები, მათ შორის რაჭველები, რომელთა ერთ ნაწილს ჩვეული ხელობისთვის, მეპურეობისთვის მოეკიდა ხელი. გრიგოლი სწორედ მათი დახმარებით მოეწყო ამერიკაში.

ცხრა წელიწადს ცოლთან ერთად კომპანია „ჯენერალ ელექტრიკში“ მუშაობდა და თავისი საქმის დასაწყებად ფულს აგროვებდა. დამატებითი შემოსავალი მისთვის ამჯერად გამოგონებებს მოჰქონდა, რამდენიმე პატენტი მიიღო ავტომატურ სანერ-კალმებზე. მცირე ბიზნესიც წამოიწყო. კალმებითა და სხვა

ცდილობდა. მილიონერის სტატუსის მიუხედავად, უსაქმოდ არასოდეს მჯდარა - მისი 60-ზე მეტი პატენტი წარმოებას პრესტიჟს მატებდა.

საქართველოს დამოუკიდებლობას აღტაცებით შეეგება. სამშობლოში დაბრუნება და ქვეყნის სამსახურში ჩადგომა სურდა, მაგრამ 1918-21 წლებში მისი



წვრილმანი საკანცელარო ნივთებით ვაჭრობით იმდენი ფული დააგროვა, რომ 1919 წელს დიდი ქარხნის გამართვა შეძლო მასაჩუსეტსის შტატში, ბოსტონთან, ქალაქ ეტლბოროში. 1922 წელს მისი წარმოება ფეხზე დადგა. სულ მალე მისმა ტყე ჩოხე ლასს როდუცტს ჩომპანყ-მ ამერიკის აღმოსავლეთის შტატებში სახელიც გაითქვა და ნდობაც მოიპოვა.

პირველ სარეკლამო ფურცლებზე აღბეჭდილია ფირმის პროდუქცია - სამედიცინო, ქიმიური, ლაბორატორიული და სხვა 45 სახის ნაირგვარი ფორმის ნაწარმი, ზომა-წონის მაჩვენებლებით. უშვებდა აგრეთვე ფანჯრის მინებს, ოთახის გასატიხრ ფილებსა და ყიდდა ნედლ მასალას. კობის პროდუქცია ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლებოდა. იგი მუდმივად აუმჯობესებდა ტექნოლოგიას. გრიგოლი 300-მდე მუშისა და ათეულობით ტექნიკოს-ოსტატისთვის

შრომისა და ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნას

ბიზნესი ჯერ კიდევ ფეხს იდგამდა. ოკუპაციის შემდეგაც ცდილობდა სამშობლოს დახმარებას და მოლაპარაკებებს აწარმოებდა ხელისუფლებასთან მინის დიდი ქარხნის მშენებლობის თაობაზე. „ნეპი“ ნებას რთავდა და ხელს უწყობდა უცხოურ კონცესიებს, ამიტომ შესთავაზეს კაპიტალის ჩადება, მაგრამ გრიგოლი ამას არ დათანხმდა - მას თვითონვე სურდა მშენებლობისთვის ეხელმძღვანელა, რადგან ბოლშევიკებს ფულს ვერ ანდობდა. უარის შემდეგ გადაწყვიტა, თავის სოფელს დახმარებოდა და თანხმობაც მიიღო. 1925 წელს სამშობლოში ჩამოვიდა, ფეხით გაიარა ის გზა, რომელიც პატარა ბიჭმა განვლო 33 წლის წინ. სახლი აუშენა იმ ოჯახს, ვინც მაშინ ბავშვს ღამე გაათევიდა და მოუარა, დედას კი ბავშვობაში შეპირებული 10.000 მანეთის საჩუქრები ჩაუტანა. მეორედ 1928 წელს ეწვია საქართველოს. ოთხ წელიწადში ბევრი რამ გაუკეთა თავის კუთხეს. დაეხმარა მრავალ გაჭირვებულ ოჯახს, სოფელ თხმორს აუშენა



სკოლა, აფთიაქი, მდინარე შარეულაზე გადო ორი ხიდი, შეაკეთა ეკლესია და მღვდლის სახლი, გახსნა სავაჭროები, მოამარაგა საქონლით და მოაგვარა მრავალი წვრილმანი პრობლემა. მასთან დახმარების სათხოვნელად არა მარტო რაჭისა და იმერეთის სოფლებიდან, არამედ ქუთაისიდანაც მიდიოდნენ. ამ დროს ძმისშვილი ჩავიდა თბილისიდან და შეატყობინა, რომ დაჭერას უპირებდნენ, ამიტომ სასწრაფოდ გაემგზავრა სოფლიდან და ქვეყნიდანაც.

1929-1933 წლების „დიდ დეპრესიად“ მონათლული მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი ჯორჯ კობისაც შეეხო. მისი წარმოებაც გაკოტრდა. მისმა კომპანიონმა იუჯინ (ევგენი) იგნატიევი თავი მოიკლა. ჯორჯ კობი მართალია მილიონებს „დაემშვიდობა“, მაგრამ იმედი არ დაუკარგავს. იმდენი შეძლება კიდევ ჰქონდა, რომ გაჭირვებულ ქართველებს დახმარებოდა არა მარტო ამერიკაში, არამედ ევროპასა და საქართველოშიც. ჰყავდა სტიპენდიატებიც, მათ შორის ცნობილი რეჟისორი ვასო ყუშიტაშვილი. უმოქმედობას ვერ ეგუებოდა, ამიტომ თავის სახლთან მოაწყო მინის წვრილმანი ნივთების პატარა ფაბრიკა და ბევრ რამეს თავისივე ხელით აკეთებდა. გაიხსენა სანერ-კალმებისა და საკანცელარიო ნივთების დამზადების ხელობა და მუშტარიც გაიჩინა. მისი წარმოების გასაფართოებლად მნიშვნელოვან მოვლენად იქცა გიორგი მაჩაბლის შეკვეთა - სუნამო „საქართველოს დედოფლის“ ჯვრიანი ოქროს გვირგვინის ფორმის უმშვენიერესი ფლაკონის დამზადება. აგრეთვე ავიაკონსტრუქტორ ალექსანდრე ქართველიშვილის თვითმფრინავისთვის ზემტკიცე მინის კაბინის დამზადება, რომელიც აფრენის შემდეგ ფიუზელაჟში ჩადიოდა.

1941 წლის 7 დეკემბერს ამერიკის შეერთებული შტატები მეორე მსოფლიო ომში ჩაება. გრიგოლმა ამერიკის მთავრობას ფინანსური დახმარება სთხოვა საომარი შეკვეთებისთვის მინის წარმოების აღსადგენად. როცა მისი საბუთები და მონაცემები შეისწავლეს, დაუყოვნებლივ მიიღო ლიცენზია

და თანხა - 2 მილიონი დოლარი. მოკლე ხანში მოაწყო წარმოება და გახსნა ქარხანა მასაჩუსეტსის მოსაზღვრე როდ-აილენდის შტატის ქალაქ პატაკეტში. შეიძინა ოთხი ჰოლანდიური დანადგარი, დაიქირავა 300-მდე მუშა და დაიწყო ქიმიური და სამედიცინო ლაბორატორიების, სავლე ჰოსპიტალებისადრიგითი საავადმყოფოებისთვის აუცილებელი პროდუქციის დამზადება. მალე ტჰე ჩოზი ლასს როდუცტს ჩომპანყ კვლავ მძლავრ სანარმოდ იქცა. განსაკუთრებით დიდი მოთხოვნა იყო ახალგაზოგონებულ მინის ამპულაებზე ინექციებისთვის. მისი ნაწარმი მიეწოდებოდა როგორც კანადას, ასევე მოკავშირეებსაც.



ომის შემდეგ წარმოება მშვიდობიან რელსებზე გადაიყვანა და სიახლე დანერგა - ქიმიური სითხით სავლე ელექტროსანთლებში, ე.წ. აბელ ლიგჰტ-ში, ქსელში ჩართვის შემდეგ ფერადი ბუშტები ინყებდნენ მოძრაობას. მანამდე ნაძვის ხეებს ნამდვილი სანთლებით რთავდნენ, რაც ხშირად ხანძარს იწვევდა. მოგვიანებით სანთლებს

ფერადი მინისგან ამზადებდა და ქიმიური სითხეც საჭირო აღარ იყო. ფერადი მინისგან სხვადასხვა ფორმის სათამაშოების დამზადება დაიწყო და „ორნამენტი“ უწოდა. ქართულ დროშისფერ ყუთებში ჩანყობილ სათამაშოებს ეწერა: „კობი. მინის საშობაო ხის ორნამენტები. კობი - ეს შობაა“. სათამაშოები კანადაში გადიოდა, ამიტომ წარწერა ფრანგულადაც კეთდებოდა.

სამწუხაროდ, გრიგოლ კობახიძეს შვილი არ ჰყავდა. თავის დროზე სურდა, ძმისშვილები ან ახლო ნათესავები ჩაეყვანა ამერიკაში და წარმოებაში ჩაება, მაგრამ ვერ შეძლო და საბჭოთა კავშირში დაწყებული რეპრესიების გამო მათთან ურთიერთობა სულაც შეწყვიტა, რათა ისედაც დაზარალებულ ოჯახს მის გამო ახალი რეპრესიები აღარ დასტეხოდა თავს. რაკი ქართველთაგან ვერავინ დააინტერესა წარმოებით, გრიგოლმა კომპანიონებად იტალიური წარმოშობის ძმები ჯიმ და ჯული პაგლისები აიყვანა, რომლებიც გახდნენ კიდევ მისი საქმის გამგრძელებლები.

84 წლის გრიგოლ კობახიძე გარდაიცვალა 1967 წელს. პაგლისებს დავინყებისთვის არ მიუციათ ჯორჯ კობის ღვანლი და არც სახელი შეუცვლიათ წარმოებისათვის. მისი ბიოგრაფის, ემიგრანტ გივი კობახიძის ცნობით, 1980-იან წლებში მათ კედელზე ეკიდათ მინის ქარხნისა და წარმოების დამფუძნებლის, ქართველი მრეწველის გრიგოლ კობახიძის დიდი ფოტო. კობის მინის ორნამენტები დღემდე იყიდება ინტერნეტმაღაზიაში. მათ შორის ორიგინალური ფორმის ნაძვის ხის კენწეროს მოსართავი - შექმნილი ჯორჯ კობის - გრიგოლ კობახიძის მიერ.

რუსუდან დაუშვილი

სახალხო მკურნალი



რუბრიკას „ფიტოთერაპია“ წარუძღვება ფიტოთერაპევტი, მცენარეთა სამკურნალო თვისებების აღიარებული მკვლევარის, აპროფილის არაართი ნიგნის ავტორის, პროფესორ შალვა ხიდაშელის ქვრივი და მისი უნიჭიარისი მოწაფე, ძ-ნი თამარ იაშვილი-ხიდაშელისა.

XIX საუკუნის პირველი ნახევრის ბოლომდე კაცობრიობა მხოლოდ მცენარეული და ცხოველური წარმოშობის ნამლებს ფორმებითა და სამკურნალწამლო საშუალებებით იუმჯობესებდა ჯანმრთელობას.

ჯერ კიდევ 5000 წლის წინათ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ადამიანმა იცოდა და თავის საცხოვრებლის ახლოს მოჰყავდა ისეთი სამკურნალო მცენარეები, როგორცაა გვირილა და ნეგო. „ებერსის პაპირუსი“, რომელიც VI საუკუნეს განეკუთვნება ჩვენს წელთაღრიცხვამდე, შეიცავს უამრავ ინფორმაციას სამკურნალო მცენარეების ნედლეულზე. მასში მოცემულია 900-მდე სამკურნალო მცენარისგან შედგენილი რეცეპტები.

ცნობილი ბულგარელი მეცნიერის ვესელინ პეტკოვის თქმით (1988), ჩვენს ეპოქაში „ქიმიოთერაპიის ინტოქსიფიკაციის“ ნამდვილი ფარმაკომანიის პერიოდში, სინთეზურ ქიმიკატში მიუხედავად ეფექტურობების მიღწევისა, გაუმართლებლადაა გაზვიადებული ეს მიღწევები იმ დონემდე, რომ უგულვებლყოფენ ყოველგვარი ბუნებრივი წარმოშობის სამკურნალო საშუალებებს. სინთეზური კრიზისის ფონზე ამჟამად მიმდინარეობს „მწვანე მედიცინის“ ახალი აყვავება.

საქართველოში გავრცელებული მცენარეების 5000-ზე მეტი სახეობიდან მეცნიერულ მედიცინაში დაახლოებით 2000 სახეობაა მეცნიერულად შესწავლილი-აპრობირებული.

სამკურნალო მცენარეების დაახლოებით 80-მდე სახეობაა კულტივირებული სპეციალურ მეურნეობებში და მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთებზე.

თანამედროვე გამოკვლევებით გაირკვა, რომ მცენარეების მიერ ბიოსინთეზირებული ურთულესი კომპლექსები გაცილებით უკეთესია, ვიდრე ურთულესი ტექნოლოგიების გამოყენებით მიღებული ქიმიოსინთეზური საშუალებები.

ძველი წელთაღრიცხვის XIII-XII საუკუნეებიდან მოყოლებული მსოფლიო მედიცინაში ცნობილია მოძღვრება „კურა მედიანა“-ს შესახებ, რაც კოლხეთის მეფის აიეტის ქალიშვილის მედეას სახელთანაა დაკავშირებული. ეს კი საქართველოში ხალხური მედიცინის მაღალ განვითარებულობის დიდ ისტორიულ

წარსულზე მიანიშნებს.

ძველი ქართული სამედიცინო ხელნაწერების დიდი ნაწილი განადგურდა ხანგრძლივი ხშირი ომების განმავლობაში.

გადარჩენილი ხელნაწერებიდან მნიშვნელოვანი ნაწილი გამოქვეყნებულია: ქანანელის „უსნორო კარაბადინი“ (1936), ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილის სამკურნალო ნიგნი „კარაბადინი“ XV ს. (1950, 1959, 1978), დავით ბაგრატიონის „იადიგარ დაუდი“ XVI ს. (1938, 1985).

ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელია „სასარგებლო კარაბადინი“ (XII-XVII), „ცხენის მოკლე კარაბადინი“ (XVI-XVII სს.) და „აბრაამ მწერლის“ კარაბადინი (XVII ს.).

ახლოწარსულში დიდხინით სამკურნალო მცენარეების დაფინანსებისა და ქიმიოთერაპიის გაფუციშების პერიოდის შემდეგ 1980 წელს გამოიცა შალვა ხიდაშელის და ვანო პაპუნდიის ერთობლივი ნაშრომი „ტყის სამკურნალო მცენარეები“.

ნიგნის ავტორები უდიდესი გულისყურით მოეკიდნენ ამ საქმეს; ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვის განსამტკიცებლად სასარგებლო საქმე გააკეთეს და ამ ნიგნმა საზოგადოების დიდი მონოვნება დაიმსახურა. სამკურნალო მცენარეების საოჯახო პირობებში გამოყენების უდაო სარგებლიანობიდან გამომდინარე ნაშრომში მოცემულია ჩვენი სამშობლოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების ხალხური მედიცინის მიღწევების ამსახველი ის კონკრეტული მასალა, რომლის გამოყენების შესაძლებლობებიც დამტკიცებულია მეცნიერ მედიკოსების გამოკვლევებითა და მრავალწლიანი კლინიკური გამოცდილებით. ამჟამად უნდა ითქვას რომ, სინთეზური ნამლების შესამჩნევი კრიზისის ფონზე ფიტოთერაპია აღორძინებას განიცდის. შეცდომა იქნება იმის ფიქრი, რომ მცენარეული ნამლები მთლიანად შეცვლის სინთეზური ნამლების უდიდეს ასორტიმენტს, მაგრამ სამკურნალო მცენარეების ღრმა მეცნიერული გამოკვლევები და მათში არსებული ფიზიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ბაზაზე შექმნილი პრეპარატები მედიცინას ძვირფასი ნამლებით გაამდიდრებს, რაც კიდევ უფრო გაზრდის სამკურნალო ფლორის მნიშვნელობას ადამიანისა და ცხოველების მკურნალობაში. შეიძლება ითქვას, რომ მცენარეული ნამლებით იკურნება ქრონიკული დაავადებები, რასაც ქიმიოპრეპერატები ვერ ახერხებენ.

**თამარ იაშვილი-ხიდაშელისა
ფიტოთერაპევტი**

ბანკურნების სრული გარანტია

სამკურნალო ბალახების აღიარებული სპეციალისტის, პროფესორ შალვა ხიდაშელის რეცეპტები განკურნების სრულ გარანტიას იძლევა.

გარანტირებულად ვმკურნალობთ შემდეგ დაავადებებს: ასთმა, ბუასილი, თირკმელები და ნაღველი (კენჭის დაშლით), ლვიძლი (ჰეპატიტი), კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, პირი ღრუს დაავადებები (პაროდონტოზი, გინგვიტი, სტომატიტი), ჩირქოვანი გლანდები, წითელი ქარი, სახსრები, ვენები, სოკოვანი დაავადებები, გინეკოლოგიური დაავადებები, გულსისხლძარღვთა სისტემა (თავბრუსხვევა, თავის ტკივილი), კლიმაქსი, ნევროზები ელენთა და ფსორიაზი, კუჭ-ნაწლავის პრობლემები ჯირკვლები და სხვა.

უკუჩვენებები და გვერდითი მოვლენები არ აღინიშნება. ყველა სახის ნაყენი და მალამო დამზადებულია სამკურნალო ბალახებისაგან.

საკონტაქტო მობ: 555 17 90 64.



შობის შემთავობა და სახალწლო ნიტყაღი



შორეული საუკუნეებიდან გამომდინარე შობა-ახალ წელიწადის სასიხარულო დღეებს მთის რაჭველები ლოცვითა და ლამაზი რიტუალებით ეგებებოდნენ. შეძლებისდაგვარად ყველა ცდილობდა, იმ სათაყვანო დღეებში ჯალაბი მაძლარი ჰყოლოდა. ახალი სამოსით და ხალისიანი განწყობით შეხვედროდა დღეობას, რომ ოჯახის ბედნიერება, ბარაქა, პირუტყვის სიმრავლე და მშვიდობიანი ყოფა-ცხოვრება დაგვბედებოდა. მთიელთა რწმენით, მაგალობელ ბავშვთა მიერ საშობაო ლოცვას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ოჯახის შემდგომი ბედნიერებისა და გვარის გამრავლებისათვის. ამიტომ არ შეიძლებოდა, შეურაცხმყოფელი იყო სოფლის რომელიმე ოჯახის საშობაო დალოცვის გარეშე დატოვება. ეს ოჯახის თითოეული წევრის მწუხარებასა და გულისწყრომას გამოიწვევდა. ამიტომ ეს არ ხდებოდა, ყველას ერთნაირი პატივისცემით ულოცავდნენ შობა-ახალწელიწადს. დიდი ყურადღება ექცეოდა მამაპაპური საშობაო სარიტუალო ტრადიციების დაცვა-შესრულებას. ამიტომ არის რომ ამ წესჩვეულებამ მრავალ ქართველს გაუძლო და დღემდე შეუბღალავად შემოინახა თავი. წინაპართაგან ნაანდერძვე კარგ ტრადიციებს დღესაც თვალის ჩინივით უფრთხილდება ხალხი.

შობის შემოლოცვის პირველი ღამე მარხვით

ხდებოდა. აცხობდნენ სამარხვო განატეხს, რომელსაც მიირთმევდნენ კაკლით, შაქარწყლით, თაფლით. სახლის ოთხივე კუთხეში ანთებდნენ სანთლებს და ლოცვა-ვედრებით ღმერთს ბედნიერი შობა-ახალი წელიწადის მობრძანებას, ჯალაბის კარგად ყოფნას, ვაჟიანობას, ქალების გათხოვებას და ქვეყანაში მშვიდობიან ცხოვრებას შესთხოვდნენ.


ახალი წლის დადგომამდე ან, როგორც მთის რაჭველები ამბობენ, „თავსახალ“ წელიწადს, შობის შელოცვის სადღესასწაულოდ სამარხვო განატეხთან ერთად, აცხობდნენ ფრინველთა და ცხოველური სახის პურებს ე.წ. „ბიკიკებს“ და „კაცა ბასილას“ - წმინდა ბასილას მოსახსენებელ პურს. „კაცა-ბასილას“ მარჯვენა ხელი გულზე ედო. მარცხენა ხელით დოინჯშემოყრილი იყო. „ბიკიკები“ ბავშვებს დიდ სიხარულს ჰგვრიდა. ბებიებს ისინიც ეხმარებოდნენ და მათგან სწავლობდნენ შინაურ ცხოველთა და სხვა ნადირ-ფრინველთა „ბიკიკების“ გამოცხობას. უფროსების მიბაძვით ეჩვეოდნენ საშობაო-სარიტუალო წესების დამოუკიდებლად შესრულებას.

საინტერესოა, რომ მიცვალებულთა სახელზე „ბიკიკებზე“ ცხოველურ პურებს ე.წ. „ბიკიკებს“ სვანებიც აცხობდნენ (ე. ბარდაველიძე, გრაფიკული ხელოვნების ნიმუში გვ. 71, 72).





ქრისტეშობა



წარმართული პერიოდის უძველესი დროის ჩვეულება „ბიკიკების“ ცხოვა ფალოსური კულტის ღრმა კვალზე მიუთითებს ჩვენში, რომელიც დღემდე ცოცხალ ფორმაშია შემორჩენილი. საინტერესო რიტუალი სრულდებოდა კანაფის ბანრისგან დაგრეხილი, სახნავად პირველ გამსვლელ ხარებს აპეურებს, საგაზაფხულო ხვნა-თესვისთვის გამზადებული ქერის თესლს, კაცა-ბასილას პურს და სხვა. ნათლისღების საღამოს 19 იანვარს ჩადებდნენ ვედროში ან სხვა ჭურჭელში, რომელსაც ყველა, მაგალითად, სოფ. ჭიორის მოსახლე ოჯახი დილით ჩაიტანდა სანახშოზე (სოფლის ცენტრალური წყარო) აქ მოვიდოდა წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელი, გაიმართებოდა წირვა-ლოცვა. მღვდელი აქვე ჭურჭელს კაცა-ბასილას პურითა და სხვა ნივთებით აკურთხებდა, თითოეულ მათგანს ნაკურთხ წყალს შეასხურებდა და ამ რიტუალით დიდათ ნასიამოვნები და გულგახარებული გლეხები მიდიოდნენ შინ. სჯეროდათ, რომ ღვთის წყალობით ყველა ჯანმრთელი და ბედნიერი იქნებოდა. უხვი მოსავალი გაავსებდა მათ ბელებს და გულდაჯერებით შეექცეოდნენ საგაზაფხულო სამუშაოებს.

ამრიგად, ჭურჭლიდან ნაკურთხ კაცა-ბასილას პურებს ყველა შეექცეოდა. დანარჩენს, ნაკურთხ ქერის თესლსა და ხარების აპრეარებს, საგაზაფხულო აპეურებს ხვნა-თესვის დაწყებამდე შეინახავდნენ პირველი ხვნა-თესვისთვის. ამ დროს ნაკურთხი თესლითა და იარაღით კმაყოფილებით გაიძახოდნენ: ყანა გაგვიკეთდა, ყანა გაგვიკეთდა, უხვი მოსავალი მოგვეცი ღმერთო.

ახალ წელიწადს მეკვლე ოჯახში რომ შედგამდა ფეხს, სამჯერ ხმამალა უნდა ეთქვა:

„შემოვდგი ფეხი,
გწყალობდეთ ღმერთი და
წმინდა ბასილი,
მისი მადლით და წყალობით
იყავით პურ-ღვინით ავსილნი“

ამის შემდეგ წამოიძახებდა: „მრავალ ახალ წელს დაგასწროთ ღმერთმა ჯანმრთელი და მხიარული, თავისი მონაგრით ყოფილიყოთ ხვავითა და ბარაქით ალვისილნი.

აცხოზდნენ ტყის ფოთლუანებს ჩიტებისთვის, ოჯახს მოუხდებდა მადლიაო. მთის რაჭაში ძველად საახალწლო ნაძვის ხის დადგომის ტრადიცია არ არსებობდა, „ბიკიკებს“ ბუხრის ფიტონზე (თაროზე) დაალაგებდნენ და ახალი წლის გაცილების შემდეგ ბავშვები გემრიელად შეექცეოდნენ „კაცა-ბასილას“ კი წყალკურთხევამდე ინახავდნენ. დრო რომ დადებოდა, სახვნელთან ერთად სანახშოს წყაროსთან მიჰქონდათ, აკურთხებდნენ და შინ მიიტანდნენ, „კაცა-ბასილას“, ლუკმა-ლუკმა დაჭრიდნენ და მის ნაწილებს ოჯახის ყველა წევრს შეახვედრებდნენ.

საშობაო-სარიტუალო, საღვთო, საოჯახო საჭმელთა შორის განსაკუთრებული პატივითა და ყურადღებით სარგებლობდა კორკოტი, რომელიც

ყველა ოჯახში მზადდებოდა. მეტად საინტერესო და საგულისხმო რიტუალი სრულდებოდა კორკოტის ირგვლივ. ოჯახის წევრები კორკოტს სათუთად და მოფერებით ექცეოდნენ, სანამ მისი ჭამის დრო დადგებოდა, მანამდე ქვაბს ქართულ ზღაპრებს და ლექსებს უამბობდნენ. მოხარშული და საჭმელად გამზადებული კორკოტის ქვაბის თავსახურის ახდა და კორკოტში ჩახედვა, სანამ ამის დრო არ დადგებოდა, მთის რაჭველის რწმენით არ შეიძლებოდა... „ყვავილი-ბატონები“ დაჭრელებს ვინც ამ წესს დაარღვევსო, აფრთხილებდნენ ყველას, მათ შორის ბავშვებს. მისი შიშით საკორკოტე ქვაბის ახდას და შიგ ჩახედვას ვერავინ ბედავდა.


ოჯახი დიდი სიხარულით ელოდა მათ კარზე ქრისტეს მახარობელი მაგალობელი ბავშვთა გამოჩენას და მათი საშობაო ხმატკბილი ჰანგების მოსმენას.

გუნდის წინამძღოლი თან ლოცვას წარმოსთქვამდა: „ჩვენი ოჯახის დაფასების და პატივისცემისთვის ღმერთმა ბედნიერი შობა-ახალი წელი გაგიტენოთ და სიკეთით დაგიბედოთ, სადაც წახვიდ-წამოხვიდეთ, ყველგან გახარებულეხს გეველოთ. ოჯახი ქრისტეს მახარობელ მაგალობელ ბავშვთა გუნდს რომ გაისტუმრებდა, ვახშობის დრო დადგებოდა. უფროსი დიასახლისი დაიძახებდა, აბა, პატარძალო დადგი სუფრა. პატარძალი ჯერ საკაცებო, შემდეგ საქალეგო სუფრას გაშლიდა. ამის შემდეგ ვარცლთან მიდიოდა და სანთელს აანთებდა. მერე სახლის ყოველ კუთხე-კუნჭულს სანთლებით გაანათებდა და დაიწყებდა ლოცვას. სახლთანგელოზს შესთხოვდა, ასე მხიარულად და ბედნიერად მრავალჯერ გაგვითენე შობა-ახალი წელიწადიო. დასხდნებოდნენ ვახშმად დიასახლისი განატყეს გატყებდა, მის წილს ყველას არგებდა. ანთებული სანთლით ხელში ოჯახის უფროსი კორკოტის ქვაბს სახურავს ახდიდა და მამა-პაპური წესით კორკოტს ჩასცინებდა. დიასახლისი კორკოტს იმდენ თეფშზე ამოიღებდა რამდენი წევრიც იყო ოჯახში. შობის შემოლოცვის ღამე მარხვას ემთხვეოდა, ამიტომ კორკოტს სამარხვო შესანებლებით: კანაფის ჭვის (თესლი) ნაყენი, თაფლით, შაქარწყლით მიირთმევდნენ. მეორე დღით გახსნილდებოდა და რძით მიირთმევდნენ.

მთის რაჭაში ახალ წელიწადს ნაძვის ხის მაგივრობას თხილისა და მუხის ტოტები ეწეოდა, რომელსაც ახალი წლის წინა დღით მოიტანდნენ და სახლის კუთხე-კუნჭულებს თხილისა და მუხის ტოტებით შეამკობდნენ.

სოფელში მთელი დღე გაისმოდა მაგალობელი ბავშვთა გუნდის საამო ხმატკბილი ჰანგები, რაც უსაზღვრო სიხარულითა და მომავალი უკეთესი ცხოვრების დიდი იმედით აღავსებდა მთიელი კაცის გულს. კარგია, რომ ტრადიცია თანამდევნი ხმატკბილი ჰანგებით დღემდე გრძელდება.

სპარტაკ რეხვიაშვილი
ფილოსოფოსი მწერალი



ოჯახი ჩემთვის ყველაზე ძვირია



მამა-შვილი რუსუდან (მანო) და სპარტაკ რეზვიაშვილები

კეთილშობილება თვისებაა, მით უფრო დედისათვის შეუდარებელი სამკაულია. ბუნებამ და გენეტიკამ მადლის მარცვალ ბერძენად აქცია, შინაგანი, ლამაზი მრწამსის და ოჯახის, ახლობლების, ნათესავების მოსაფერებლად მოავლინა ქვეყნას. მორწმუნეა, ათი მცნება გაუხდია ცხოვრების მეგზურად, ფიქრობს, რომ კეთილშობილება მშობლებისგან ისწავლა. ასე ეფერებოდნენ წარსულს მისი ბებიები, დედ-მამა, ნათესავები და ასე უნდა განაგრძობს თავადაც.

რუსუდან (მანო) რეზვიაშვილი დიდი მკვლევარის, ისტორიკოსის, ეთნოგრაფის, სპარტაკ რეზვიაშვილის ქალიშვილია. პროფესიით ისტორიკოსი, ოჯახურ ისტორიას ქმნის, ჟურნალ „რაჭველებში“ სისტემატიურად ბეჭდავს ისტორიებს ახლობლების შესახებ. ამბობს, რომ ამით ცოცხლებს ეფერებოდა, მიცვალებულს კი მეტად სჭირდება პატივი, ეს მათი უკვდავების ტოლფასიაო.

ამბობენ კარგი წყლის კარგი ყინული დგებაო. სპარტაკ რეზვიაშვილის ქალიშვილი სხვაგვარი ვერც ვერავის წარმოუდგენია. მისთვის საოჯახო ფოტო ალბომი ოქროს ფონდია. მშობლებისეული თითოეული ნივთი განძია შეუფასებელი. ღირსეული დედა, ღირსეული ქალი და სანაქებო შვილია. ვულოცავ ქ. რუსუდანს (მანო) შობა-ახალი წლის შემობრძანებას. ბედნიერებას, ოჯახურ სიმშვიდეს, ღვთის შეწევნას, მშვიდობას ვუსურვებ თავის ოჯახთან ერთად.

მატრონა ჩახვიანაშვილი – ჩახვიანაშვილის საშობაო-სახანძრო „ბიჰიჰაზი“

მატრონე რეზვიაშვილი-ჩახვიანაშვილისა მე-19 ს-ის 20 წლებში მთის რაჭის მაღალმთიან, ულამაზეს სოფ. ჭიორაში დაიბადა კეთილშობილი ცოლ-ქმრის ნანო რეზვიაშვილის და ბარბარე ლობჯანიძის ოჯახში. ქალიშვილის გარდა მათ ორი ვაჟი ილიკო და გიორგი ჰყავდათ.

18 წლის მატრონე მშობლებთან ერთად რუსეთის ქალაქ ნოვოროსისკში ჩავიდა ძმებთან. ისინი ეკონომიურად საკმაოდ კარგად ცხოვრობდნენ. ილიკო და გიორგი ქალაქის რკინიგზის სასტუმროს და საზოგადოებრივი კვების ობიექტის მეპატრონეები იყვნენ. დედ-მამას, დას ხელისგულზე ატარებდნენ, ცივ წიავს არ აკარებდნენ.

მატრონემ აქვე გაიცნო ჭიორელი მომხიბვლელი ახალგაზრდა ილიკო ჩახვიანაშვილი (თახელეენთი) და მალევე დაქორწინდნენ, ძმები შეჰხაროდნენ მათ ბედნიერებას. პატარა თამარის გაჩენამ კიდევ უფრო გაახილა ისედაც მოსიყვარულე და მხიარული დედ-მამიშვილები.


სათნო, კეთილ, გამრჯე, თავმდაბალ მატრონეს ახასიათებდა მოყვასის, ახლობლებისადმი თავგანწირული სიყვარული. ამ სიყვარულმა მას ცხოვრების ყველა სიძნელე გადაატანინა და ღრმა მოხუცებულობამდეც მიიყვანა. ერთადერთი ქალიშვილის გარდა მთელი თავისი ცხოვრება მაზლიშვილს და ობოლ ძმისშვილებს მიუძღვნა.



დაუწინყარი დღე და წუთისოფელი ნოვოროსისკის ცხოვრებიდან: მატრონა (ხრიკეენთი) და ილიკო ჩახვიანაშვილი (თახეენთი)



ტრადიცია




მიუხედავად იმისა, რომ, მალე დაქვრივდა, არასდროს ნუნუნებდა, სხვისთვის შრომა, ფიქრი მის გულს ენით გამოუთქმელი სიხარულით ავსებდა. ის იყო მწერალ სპარტაკ რეხვიაშვილის მამიდა. რომელიც ეთაყვანებოდა, ემადლიერებოდა და მეორე დედას ეძახდა.

„არასოდეს დამავინყდება მისი დედობრივი ზრუნვა, მოფერება. განსაკუთრებით 40-იანი წლების უმძიმეს დროში. როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი გავხდი, მატრონე მამიდა, იმ ხანად ქ. ბოლნისში ცხოვრობდა. უხვად მიგზავნიდა ლობიოს, სიმინდს, ხილს, ყურძენს, არდადეგებზე კი მასპინძლობას და მოვლა-პატრონობას არ მაკლდებო“- იგონებს სპარტაკ რეხვიაშვილი.

სურათზე, აღბეჭდილია მრავალჭირნახული, მგლოვიარე, მატრონე რეხვიაშვილი-ჩაგელიშვილისა მონასტრული ჩაცმულობით – შავი თავსაფრით და კაბით, თავისი მადლიანი ხელით გამომცხვარი საშობაო-საახალწლო რიტუალების მშვენება „ბიკიკებით“.

„ბიკიკების“ გამოცხოვის წესს უხსნის თავის ძმისშვილიშვილებს ილიას და რუსუდან რეხვიაშვილებს და სთხოვს არ დაივინყონ შორეული საუკუნიდან მომდინარე წინაპართა ეს კარგი ტრადიცია.

ბიკიკების ცენტრშია ხელეზგაშლილი - „კაცა-ბასილა“. უაღრესად საინტერესოა, რომ მთის რაჭველები ასეთი წესით უდიდეს პატივს მიაგებდნენ საქრისტიანოს – მართლმადიდებლობის ბურჯს, წმინდა ბასილი დიდს.



წერილი რედაქციას

*გმარლობთ
ქახმარებისთვის*



2000 წლის ნოემბრის თვეში 29 წლის უცოლშვილო ბიჭი ტრაგიკულად დამელუპა.

დიდი მწუხარება დამატყდა თავს, რასაც დრო ვერ გაანელებს.

უნმინდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით შვილის სულის საცხოვნებლად ავაშენე ეკლესია. ფინანსური პრობლემის გამო მისი დამთავრება გამიჭირდა. ახლაკი ჩვენი მეუფის, ელისე ჯოხაძისა და მამა-ნოეს დახმარებით თამარ მეფის სახელობის ეკლესია დავამთავრე.

ასევე დამეხმარა კურორტ შოვის დირექტორი გელა გუტაშვილი, რომლის შეწირულმა სასანთლემ ეკლესია დაამშვენა.

მინდა ასევე მადლიერება გამოვხატო „სანსეტ შოვის“ ხელმძღვანელობის მიმართ, გაიოზ ქაფიანიძის თაოსნობით, რომლებმაც მოაწყვეს დამსვენებლების საქველმოქმედო აქცია და ეკლესიას ფინანსურად სათანადოდ დაუდგინეს მხარში.

ყველა იმ ადამიანს, ვინც მცირედი წვლილი შეიტანა ეკლესიის მშენებლობაში, გულითადად ვულოცავ შობა-ახალ წლის შემობრძანებას, ვუსურვებ მშვიდობას, ღმერთმა დალოცოს ყველა ოჯახი.

გულნაზ ბიჭაშვილი

ონი. სოფ. გლოლა 75 წლის პენსიონერი, პედაგოგი

სოფლის საღმრთაოზე მღვანე ხუთი ადამიანის ახალი წელი მრავალძალი

ამ საახალწლოდ დიდი ილიას სიტყვები გამახსენდა: „რა გითხრათ, რით გაგახაროთ“, სწორედ რომ ასეა საქმე. ვინც რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთ სატელევიზიო რეპორტაჟს უყურა, შეუძლებელია თვალზე ცრემლი არ მოსდგომოდა და სული არ დამძიმებოდა. ეს იმ ხუთი მარტოხელა ადამიანის ბედ-იღბალს ეხება, რომლებიც შვიდთვიანი ზამთრის პირობებში, მთიან რაჭაში მარტოდ მარტო ხვდებიან ახალ წელს. ისტორია მეტად მძიმე და შემადრწუნებელია.

მრავალძალი დღეს მარტოობის ძალმა დაიპყრო. მიტოვებული სახლები მდუმარედ გაჰყურებენ გზას... ამაოა მათი მოლოდინი. ყანგმოდებული ბოქლომის პირის გამხსნელი კაცი არ სჩანს სოფლად. რაიონულ ცენტრს 30 კმ-ით არის დაშორებული, ზღვის დონიდან 1850 მეტრზეა. აქ მდებარეობს მრავალძალის უძველესი ტაძარი, რომელსაც უწინ ტრადიციისამებრ ყოველ ახალი წლის დილას 700-800—მდე მრევლი სტუმრობა. წელს მხოლოდ სამ ოჯახში აინთო ნაძვის ხე და ხუთი ადამიანი შეეგება ახალ წელს. უმცროსი დათო



მაია



დათო



სოფელი



სამ ფიჭვის ხეს ჭრის და მეზობლებს ურიგებს. სოფლის უხუცესი ბართლომე სხირტლაძე მრავალძღის ძალით ცოცხლობს. შვილები ქალაქში ჰყავს და პერიოდულად სოფლის ნობათით ამარაგებს. ახალი წლის დილას წესისამებრ სოფლის მონასტრის მომლოცველია.

ტრადიციის თანახმად სოფლის ყველაზე უმცროსი ქალბატონი, მია აცხობს ლობიანს, დახვეულს, ბოხჩუანს, ბასილებს და საახალწლო ნობათს მეზობლებს ურიგებს.

მრავალძლეებს შვიდი თვე ზამთრის პირობებში ცხოვრება უნევთ. მათი სათხოვარი ხელისუფლების მიმართ ტრანსპორტის დანიშვნაა, რომელიც წელიწადში ორჯერ მაინც ავა (!!!) და ხალხს მოემსახურება.

მძიმეა და ძნელად აღსაქმელი მთის რაჭის ბედი, რომლის გადაწყვეტა მხოლოდ ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს მიერ მთის კანონის მიღების პირობებში შეიძლება მოხდეს. ცოტას თუ ადგილობრივი ხელისუფლებაც იზრუნებს და ასეთ ფაქტებს გულგრილად არ აღიქვამს, ცხადია, არც ეს იქნება ურიგო!

ყველამ ერთად უნდა ვიფიქროთ, რომ სოფელი სამუდამოდ არ ჩაიკეტოს. ამ ხუთ ადამიანს ოქროსავით მოფერება სჭირდება, ელემენტარული ყურადღება შესაძლოა წამალზე უკეთესი აღმოჩნდეს მათთვის. ვნახოთ რას იზამს ადგილობრივი მმართველობა, იმედია ხანდახან მაინც გაახსენდებათ ბედის ანაბარა დარჩენილი ხუთი ადამიანი და მცირეოდენ ყურადღებას გამოიჩინენ მათ მიმართ.


ნიკო რახვიაშვილი



ბართლომე



გერმოგენი



*მეშინია, ეს სამოთხე, ეს წარკოჭი
სხვა არაჟინ მოვიდეს და დაიკაოს.
მყრმან რებანიძე*



კიკო



გაკულაკეზული გლეხის

სპირიდონ ჩიხრაძის ოჯახური ისტორია



სპირიდონ ქიტცხას ძე ჩიხრაძე (მალალიანთი),
მაშიკო კაციას ასული გუგეშაშვილი (ლანდეეთი), 1954 წ

სოფელი გომი რაჭაში კედილას ქედის სამხრეთ კალთაზე მდინარე გომრულას (რიონის მარცხენა შენაკადი) მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს. მოსახლეობის უმრავლესობას ჩიხრაძეები შეადგენენ. ჩიხრაძეების გვარის ისტორია მე-16 საუკუნიდან იწყება. გადმოცემის თანახმად ჭიათურის რაიონში მდინარე ჩიხურას ხეობიდან (სავარაუდოდ სოფელი ჩიხა) ორი ძმა ბატონს გაუნაწყენდა და სოფლიდან წასვლა გადაწყვიტა. გაბიზენის შემდეგ მათი სამყოფელი ახლანდელი გომის ტერიტორიაზე მოუნახავთ. მთისთვის, სადაც იმყოფებოდნენ, ჩიხორა დაურქმევიათ, ხოლო გვარად ჩიხრაძეზე დაწერილან. ჩიხრაძეები ძირითადად ხის ხელოსნობით ირჩენდნენ თავს.



აკაკი ჩიხრაძე, 1954 წ

ახლა თქვენს ყურადღებას ერთ-ერთ ჩიხრაძეზე შევაჩერებ, რომელმაც თავის შრომით და მარჯვე ხელებით ფული ამერიკაში იშოვა და შემდეგ თავის ნებით კოლმეურნეობას გადაცა.

ეს სპირიდონ ჩიხრაძე იყო. 1888 წელს გომში დაიბადა. ოჯახს გაუჭირდა. სახნავ-სათესი მიწების ნაკლებობის გამო 1895 წელს გომიდან, რამდენიმე ოჯახთან ერთად სპირიდონის ოჯახი სოფ. კვაჭა-გომში გადასახლდა. 22 წლის მონიფულმა ვაჟკაცმა თვალი დაადგა მეზობელ სოფელში, საკაოში გაზრდილ გოგონას, მაშიკო კაციას ასულ გუგეშაშვილს (ლანდეეთი) და დაქორწინდა კიდევც.

ერთ წლის თავზე, 1911 წლის მაისში, კოხინჯრობის დღესასწაულზე ოჯახს განუცხადა, რომ სამუშაოდ ამერიკაში უნდა წასულიყო, ამის გამგონე მამამისი ცუდად შეიქნა, ეხვეწა შვილს აზრი შეეცვალა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ბოლოს ხიდზე დაწვა და შვილს უთხრა, თუ გადამაბიჯებ, წადიო. სპირიდონმა მამას ფეხი გადააბიჯა, რამდენიმე მეგობართან ერთად გაუდგა გზას შორეული ამერიკასკენ. სულ ოცდაათი იყვნენ. ერთ-ერთი მათგანი გზაში გარდაიცვალა, ერთი კი, გვარად ჩიკვილაძე ამერიკაში დარჩა.

სპირიდონი კარგი მჭედელი და დურგალი იყო. რის გამოც ამერიკაში თავს კარგად გრძნობდა. დაიწყო პირველი მსოფლიო ომი. ერთ დღესაც ქართველებს გამოუცხადეს, თუ ვინმეს თავის ქვეყანაში დაბრუნება უნდოდა, უნდა წასულიყვნენ, გარკვეული



1931 წელი სპირიდონი და მამიკო შვილებთან ერთად




პატარა აკაკი

პერიოდის შემდეგ ეს შეიძლება ველარ მოეხერხებინათ. რა ექნათ, ქართველებმა დატოვეს ამერიკა, 31 დღე და ღამე იმგზავრეს და იმ დროისათვის ფინანსურად მოძლიერებული დაბრუნდნენ სამშობლოში. სპირიდონი უკვე შეძლებული გლეხი იყო, იყიდა მიწები და სხვა ქონება. ექვსი შვილი შეეძინა, ხუთი ბიჭი და ერთი გოგო: ალექსი (II მსოფლიო ომის დაიკარგა), დომენტი (II მსოფლიო ომში მონაწილე), მანია, ალიკო, გოგია და აკაკი. რძლები: დუშა გავაშელი, ნასტა მელაძე, დოდო ბაკურაძე, ნელი გოგრიჭიანი. სიძე ნიკალა მაისურაძე.

თუმცა ეს ბედნიერება ჩიხრაძეებისთვის ხანგრძლივად არ აღმოჩნდა. 1922 წელს საბჭოთა კავშირის შექმნის შემდეგ კოლექტივიზაციის საყოველთაო იდეას მოჰყვა შეძლებული გლეხების გაკულაქება. მას ჩამოართვეს ქონება და ქუთაისში გასაცემბირებლად წაიყვანეს. სპირიდონი იმ დროისათვის განათლებული კაცი იყო, ფლობდა ინგლისურ ენას, კარგად საუბრობდა რუსულად. ამიტომ მან გუბერნატორთან შეხვედრა მოითხოვა და მიაღწია კიდეც.



აკაკის მეუღლე ნელი გოგრიჭიანი-ჩიხრაძე




აკაკი ჩიხრაძე

აუხსნა თავის ოჯახური მდგომარეობა, თუ სად და როგორ იშოვა ფული, უარი თქვა ქონებაზე და გადასცა კოლმეურნეობას. ასე გადარჩა კაცი გაციმბირებას, მაგრამ ოჯახის მონყობა თავიდან დაიწყო.

სპირიდონ ჩიხრაძე გარდაიცვალა 1965 წელს, 77 წლის ასაკში. დღეს მისი ექვსი შვილიდან მხოლოდ აკაკია ცოცხალი, რომელიც ცხოვრობს ქ. ონში, ჰყავს არაჩვეულებრივი მეუღლე, ქალბატონი ნელი, სამი შვილი; მამუკა, მარია, ლექსო და შვიდი შვილიშვილი: აკაკი, სალომე, ელენე, ილია, თეკლე, ელენე, მედეა. რძლები: ხათუნა ხომასურიძე, ეკა თავგაძე. სიძე ზურა კაკაურიძე.

აკაკი ჩიხრაძე დღეს ბედნიერია თავის ოჯახთან ერთად, იგი სულ ახლახანს 77 წლის გახდა. ვულოცავთ მას იუბილეს, ვუსურვებთ ღირსეული მამის ნაკვალევზე ღირსეული თაობის სიმრავლესა და სიძლიერეს. დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ტკბილ სიბერეს.

ტიქსტი მოამზადა სპირიდონ ჩიხრაძის შვილიშვილმა მამუკა (ქრისტაფორე) ჩიხრაძემ





შქმერის უკანასკნელი მოჰიკანი

რაჭის კარიბჭესთან იდგა ჩემი ბაბუ, ავთანდილ დაუშვილი, რაჭველი კაცის ქეშმარიტი და უღალატო სიყვარულით აღსავსე, თამარ დედოფლის კლდესავით მტკიცე და შეუვალი!

მისი საუფლო, მისი სული და გული რაჭა იყო — და ამიტომაც იცხოვრა 63 წელი ადგილის დედასთან ერთად. 63 წელი და არც ერთი მკაცრი ზამთარი შქმერის გარეშე.

ალბათ არავინ ისეთი შემართებით არ ხვდებოდა შქმერის დილის ნათელს, არავინ ისე არ მოხიბლულა მთის კალთებზე დაცურებული ქათქათა ნისლის ცქერით, არავის ისე არ ახარებდა ღრუბლებში გაღიმებული მთვარე, როგორც ჩემს ბაბუას.

რაჭის უბეში გაიზარდა, თავის ხეობას მოზღვავებული სიყვარულის დიდი ძალით იყო მიჯაჭვული.

ბუჭუკიანთების ლამაზი და დიდებული შთამომავლებიდან ჩემი ბაბუა ერთ-ერთი საიმედო საყრდენი იყო სახლისკაცებისთვის, ერთგული მეზობელი მეზობლისთვის. „მთაში ვარ, მთაში გავზრდილვარ, მთებო, არ შეგიშინდებით...!“ ძალიან უყვარდა ეს სიმღერა, თითქოს მისი



კუთვნილება იყო, თავისებური მძაფრი განცდებით მღეროდა.

შქმერის უკანასკნელი მოჰიკანი, შეუდარებელი მხედარი, მისეული გაუნელებელი სიყვარულით ეალერსებოდა და უფრთხილდებოდა თავის უღამაზეს მხარეს.

ასე მგონია, ჩემი შეუპოვარი და ბუმბერაზი ბაბუა კი არ გარდაიცვალა, არამედ ხიხამთასავით განვა.

მტკიცე და ძლიერია ბაბუისეული ფესვები, გაუხუნარია, მარადისობასთან წილნაყარია. არასდროს ჩავაქრობთ იმ სანთლებს, რომლებიც შენს ხსოვნასთან არის დაკავშირებული.

გიხაროდეს! ჩემი საყვარელი, მუდამ მოფუსფუსე და საქმით დატვირთული ნიაზი ბებო, ღირსეულად აგრძელებს შენს ლამაზ ტრადიციებს.

გამორჩეულად გიყვარდი, გამორჩეულად მიყვარხარ, მენატრები, არასდროს დაგივიწყებ.

მეამაყება, რომ შენი შვილიშვილი ვარ.

მარიამ ნანუაშვილი

უშრნალი „რაჭველები“ იუწყება, რომ ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ღებში გარდაიცვალა ოლია გობრიძიანი-გობჯიშვილისა და სამიძიარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.



ჩვენს ჯავბურჯების

ბაბუდა მოვინახულეთ ამბროლაურში, მოვესიყვა-რულეთ, მერე ბებოს გავუარეთ სამსახურში და როცა სადგურისკენ წამოვედით გზად ქალარა ქალბატონი შემოგვხვდა. სოფელში მიდიოდა, ისე მოგვესიყვარულა და მოგვეფერა, ბებიას ვკითხე, ნათესავია-მეთქი? არაო და... ნაგვიკითხვა დიდი ლექცია თემაზე თუ როგორ უნდა ვცეთ პატივი უფროს თაობას, რომელსაც სულ ერთია ვიცნობთ თუ არა. მათ წლები აწევთ მხრებზე, მეტნაკლებად განვლილი აქვთ ცხოვრების გზა, რომელსაც დაფასება უნდა. თქვენ, დღევანდელი ახალგაზრდობა ვერ აცნობიერებთ და ზოგჯერ ირონიულად აფასებთ ასაკოვნებს. დაიმახსოვრეთ, წარსულს პატივისცემა უნდა!

მახსოვს და არ მავიწყდება, რადგან დედაჩემიც ამ შეგონებით მზრდის. რომ ვაკვირდები ჩემს ირგვლივ თანატოლებს, მათ უმეტესობა მართლა არა აქვთ უფროსებისადმი პატივისცემა, მითუმეტეს თუ იციან, რომ ის საბჭოთა პერიოდში ამა თუ იმ თანამდებობაზე მუშაობდა.

დავინტერესდი და გავიგე, რომ ეს ქალბატონი სოფელ ნიკორწმინდიდანაა, სოფლიდან, რომლითაც თავს ვინობებთ რაჭველები. თალიკო შავლაძე, რომელსაც საინტერესო ბიოგრაფიაც ჰქონია. წარმატებული მოსწავლე ყოფილა, სკოლის დამთავრებისთანავე ფიზიკურად მუშაობდა კოლმეურნეობაში. 1964 წელს წარჩინებით დაუმთავრებია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო განათლების რაიონულ განყოფილებაში უფროს ბუღალტრად. 1972 წელს გადაყვანილ იქნა რაიონის საფინანსო განყოფილებაში ბიუჯეტის უფროს ინსპექტორად. მალე საბიუჯეტო ინსპექციის უფროსად. 1981-85 წლებში ხელმძღვანელობდა სახელმწიფო სტატისტიკის რაიონულ ინსპექციას. ამ პერიოდში გამოშვებული აქვს სამი დარგობრივი სტატისტიკური კრებული ამბროლაურის რაიონის სოციალურ ეკონომიკური განვითარების შემდეგ. მისი გამოცდილება საინფორმაციო ბიულეტენის სახით 1982 წელს

სამსახურეობრივი სარგებლობისათვის მიენოდათ საქართველოს სტატისტიკის ინსპექტორებს. 1984 წელს, რაიონის სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში არსებულ მდგომარეობაზე ეკონომიკური ანალიზით კარგად შეჯერებულ წერილებს მისი ავტორობით სახელმწიფო ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ მთელი თავი დაუთმო სპეციალურ კრებულში. 1985-1990 წლებში იყო ამბროლაურის რაიკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე, საორგანიზაციო განყოფილების გამგის მოადგილე. მიღებული აქვს ჯილდოები, სიგელები, მედლები...



ნაკლი? მკაცრი, მომთხონი და ემოციური. ესეც იმიტომ, რომ საყვარელი ძმისშვილი ავტოავარიის მსხვერპლი გახდა, რომელმაც ფაქტობრივად განაპირობა საყვარელი რძლის, რაიონში დაფასებული ქალბატონის ყუყუნა ენუქიდის ამ ქვეყნიდან უდროოდ შვილთან, საუფლოში გადასვლა.

ახლა ძმას უდგას მხარში, ერთადერთ ძმიშვილს – ბესოს შეჰყურებს იმედით.

პირში მთქმელია, მაგრამ კეთილი, ყველას დამხმარე და გაქალაქებული სამეზობლოს სახლ-კარის მიმხედი. მე ასე აღვიქვი და ასე შევაფასე ეს ქალბატონი. შეიძლება ვცდები, მაგრამ ასეა.

არ გიცნობ ახლოს, თალიკო დეიდა, მაგრამ ის რამდენიმე სიტყვიანი წინადადებაც საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ პატივისცემით გავმსჭვალულყავი თქვენდამი და ყველა იმ ადამიანის მიმართ, ვისაც ცხოვრების ტვირთი მხრებით უტარებია, თმები გასჭალარავებია, იყო რიგითი თუ თანამდებობის პირი, შეცდომებითა თუ წარმატებებით, არა აქვს მნიშვნელობა. რა პერიოდში, რა ფორმატში. ასაკოვანია? ჩვენც ხომ მოვხუცდებით, აღარ ვიქნებით მიმზიდველნი, შეიძლება აზროვნებაც დაგვერღვეს. მერე რა, ხომ ვიყავით? ხოდა, ჩემო თანატოლებო, ეცით პატივი უფროსებს. ნუ დაგეზარებათ ჰამაკში ჩანოლილთ წამოხტომა და ბებიის მოტანილ წყალს კი ნუ მიირთმევთ, თქვენ თავად მოიტანეთ, საქონელიც გარეკეთ, ძალსაც მოეფერეთ, კატასაც, ნაჯახს, ბარსაც მოჰკიდეთ ხელი და თოხსაც. არ მოვეკვდებით. შეაშველეთ ხელი ადამიანს, რომელსაც სახე დანაოჭებია და ხელები შრომით გაუხეშებია.

წარსულს პატივი ვცეთ. უფროსებს მოვეფეროთ ისე, როგორ მაგალითსაც ისინი იძლევიან.

ახალ 2015 წელს გილოცავთ თმაჭალარა ქალბატონებო და სრულიად საქართველოში გაბნეულ რაჭველებო!

6. დალაქიშვილი





სამსახურული შემართება


ჩვენ კაცთა ბუნების წესია მოლოდინი საუკეთესო მერმისისა: უსათუოდ ხვალინდელი დღისაგან მოველით რასმე კარგს: ეს გვასულდგამულებს, გვამხნეებს, ძალას გვმატებს, ყოველდღიურ ვარამს გვინელებს გულში და სიცოცხლესაც გვაცვარებს. კაცი, რომელიც ხვალინდელი დღისაგან არაფერს მოელის, გადუნწყევტია იმედი, ცოცხალ-მკვდარია, ის ცოცხლებში ჩასათვლელი არაა ყოველ მის საქმეს, მოძრაობას და მოქმედებასაც არა აქვს შნო, არა აქვს ლაზათი. იმას არც თავმოყვარეობა აქვს, არც სხვის სიყვარული შეუძლიან, არც საქმისა, აკლია მხნეობა. ეგრეთვე თუ ერი, როგორც კრებული ადამიანთა. სანყალია ის ერი, რომელსაც დაუკარგავ იმედი ხვალინდელი დღისა, საუკეთესო მერმისისა. თამამად ვიტყვი, რაც უნდა დაბეჩავებული იყოს ერი, რაც უნდა გასანყლებული, თუ საუკეთესო მერმისს მოელის და არ გადაუნწყევტია იმედი და არ ფიქრობს: ეგ არის, ჩემი საქმე მორჩომილია, დაღუპული ვარო, ის ერი არც დაიღუპება, არც მოკვდება. მომაკვდინებელს გარემოებაში და პირობებში რომ იყოს, პირობებს შესცვლის და გაიმარჯვებს კიდეც. ხომ იცით კერძო ცხოვრებიდან მაგალითები, ექიმის იმედიანს სიტყვას მომაკვდავი სნეული ფეხზე წამოეყენოს. იმედიანმა სიტყვამ იმედი დაუბადა გულში სნეულს და გააცოცხლა. მაგრამ იმასაც ნუ დავივნიყებთ, რომ იმედს როცა აძლევს ექიმი, თან წამალსაც შესაფერს აძლევს სნეულს, ისეთს წამალს – მის სნეულებას რომ მოუხდეს და არა შხამს, სანამლავს. შეიძლება სნეული ცალკე აღებული ადამიანი, მარტო იმედით მორჩეს, უწამლოდ, უარარაოდ, ხოლო დასნეულებული, დაავადებული ერი არასოდეს მარტო

ცარიელის იმედით არ მორჩება, თუ წამალი არ მიეშველა. მაინც ერი იმედიანად არადროს არც არის, თუ იგი თავის სხეულში არა ჰპოვებს წამალს, არა ჰხედავს ნიშნებს საუკეთესო მერმისისას და მომავლისას.

რაკი მომავლის იმედზე ვამბობთ, ისიც აუცილებლად საჭიროა ითქვას, რომ ერი არასოდეს უიმედობას არ მიეცემა, სასონარკვეთილებაში არ ჩავარდება და მომავლის იმედს არ ჰკარგავს. უიმედობა მომავალზე ეს ჩვენი ეგრეთწოდებული ერთგვარი ინტელიგენციის ცულლუტობაა და სხვა არარა, ეს უსაქმურთა და უკეთურთა საქმეა. იცნობს ამის მთქმელი ერს? იცის მისი სულისა და გულის ვითარება? არაფერი ეს ამ იმედის მომწამვლელთ არ იციან, იმიტომ რომ თვითონ არაფრის გაკეთება, არაფრის უნარი არა აქვთ, არაფერი ცხოვრებისა არ ესმით, ერის ძალ-ღონე აწონილ-გაზომილი არა აქვთ. ან კი რას ვამბობ: ვინც ჯერ თავის თავს არ იცნობს, თავისი ძალ-ღონე არ შეუგნია, იგი ერს როგორ იცნობს, მის ძლიერებას, ან სისუსტეს როგორ შეიგნებს?!.. იქნება მკითხველი გაგვიწყრეს და სთქვას: „რა დროს იმედებზე ლაპარაკისაა, სხვა რამე თქვი, დალოცვილო, რომ ახალწლის დღესასწაულს შეეფერებოდესო“. უსამართლო რისხვია. ახალ წელს სწორედ ამ საგანზე შეეფერება საუბარი. რადათქო? – მკითხეთ. იმიტომ, მეც მოგახსენებთ, რომ რაც უნდ უფერულ და უიმედო ყოფაში იყოს ადამიანი, ახალწელს მაინც იმედით ეგებება, როგორც კარგი რისამე მომტანს, კარგის მომასწავებელს. უნუგემოდ, უიმედოდ დახვედრა კი დიდიცოდვაა. თქვენ, მკითხველო, ალბათ არ იცით, რომ ჩვენა გვყვანან „უიმედონი“ ინტელიგენტები,



კაი ემა



რომელთაც სხვა არა რა სწამთ და არცა რას დაიფერებენ გარდა „კოსმოპოლიტიზმისა“. ნაციონალიზმი იმათ არა სწამთ, ნამეტნავად ქართული: ჩვენ ჩვენად არაფერს წარმოვადგენთ, არაფერნი ვართ, თუ სხვა ერს არ შევეუერთდით და „ჩვენობა“ არ უარყავითო. პატრიოტები იმათ ფიქრით ვინრო, მოკლე შეხედულებისანი არიან და იმათ კი „ვრცელი“ შეხედულება აქვთ. ესენი ბაღლობა არიან, წვრილფეხობაა, და როგორც მოგეხსენებათ, ბაღლს ლულუა უყვარს. დიად, ბაღლები არიან და სამწუხაროც ეს არის, რაც ახალგაზრდული ძაღლონე აქვთ, შეაღვევენ ჰაერში კოშკების გებას და როცა მოიღლებიან გულითა და გონებით, გატეხილნი, დაუძღურებულნი, მაშინ დაბრუნდებიან „შინა“, მაშინ მოიკითხავენ საკუთარს კერას, საკუთარს ბინას, მაგრამ უღონონი, უგულონი რიღას მაქნისანი იქნებიან?!.. სამწუხარო მოვლენაა დიდად!.. ეს ყრმანი შებრალების ღირსნი არიან, ხოლო ისინი, ვინც ამათ ამგვარს საკენეს უყრით, წყეულის და სიძულვილისა.

ამ ახალწლის დამდეგს ეს ფიქრი მოდის ძალაუ-

ნებურად, რომ ყველამ მოინანიოს წარსულის წლის შეცოდებანი და ახალს წელს მივეგებნეთ ახალის ძალით, მხნეობით, გულწრფელად და ჩავჭიდოთ ღრმად გულში ეს მცნება: საცა ვცხოვრობთ, და რომელ ქვეყნის შვილებიცა ვართ, რომელი ქვეყნის პურიო, ღვინოთ, წყლით და ჰაერით ვსაზრდობთ, იმას ვარგოთ რამ, ვაკეთოთ იმის სასარგებლოდ ჩვენის ძალ-ღონის დაგვარად რაც-კი შეგვიძლიან, რომელი ასპარეზიც უნდა იყოს – ეკონომიური, ზნეობრივი, პედაგოგიური, ლიტერატურული და სხვა. თუ ჩვენთვის და ჩვენი ქვეყნისათვის ვიქნებით კარგნი, ჩვენს საკუთარს შინაურს საქმეს ნავიყვანთ კარგად, მაშინ მთელი კაცობრიობისთვისაც სასარგებლონი ვიქნებით. თუ არა და, ტყუილი მოცდენაა, ამაო შრომაა, ვინც იმას ამბობს, კაცობრიობას უნდა ვარგოვო და ეს სარგებლობა ჯერ თავის ძმებისთვის ვერ მოუტანია, თავის ქვეყნისათვის – რომლის ღვიძლი შვილია, – რომლის ავი და კარგი ესმის (და თუ არ ესმის თავის შინაობის ავი და კარგი, ის სხვისას როგორ გაიგონებს და, მაშასადამე, ან რას არგებს).

სიკეთე უსასრულოა

**ცხატახჩხ
ქეთეფახჩრს
ღიღი
წახრეფახტეპა**

შსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორმა ნინო გიორგობიანიმა კონკურსში „სიკეთე უსასრულოა“ გამარჯვებულ, ამბროლაურის პირველი საჯარო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე ქეთევან ქემოკლიძეს სიგელი და საჩუქრები გადასცა. მისმა წარმოდგენილმა ნამუშევარმა კონკურსში გაიმარჯვა. მოსწავლემ დაჯილდოვებაზე თბილისში ჩამოსვლა ვერ მოახერხა, ამიტომ ნინო გიორგობიანი მას ამბროლაურში ეწვია, სიგელი და ნივნები გადასცა და გამარჯვება პირადად მიულოცა.



მე დღეს გადამწვეს როგორც ნათურა

რატომ დავდივარ ასე მტირალი?
 რად არ მიცინის სახე და ჰირი?
 მე დღეს გადამწვეს როგორც სპირალი
 და მოტყუებულ ცხოვრებას ვტირი.
 არეული გვაქვს გზა და ბილიკი,
 (გული დარდისგან კვნესის და ოხრავს),
 სასახლეებად იქცა ბილიკი,
 ქართველები კი ვნატრულობთ ქოხმასს.
 ტაშისუულარი და გაჩიანი
 ჩახჩახებს მუდამ, ღამით თუ დღისით,
 და საქართველო ასე მზიანი
 მართლა ჩვენი თუ არის სხვისი?
 ერისკაცობა დაგმობილია,
 (ველარ ვატოკებთ მსრებსა და მკლავებს),
 ალბათ საფლავშიც დარდობს ილია,
 საქართველოს რომ ქართველნი ჰკლავენ.
 ერში სიკეთის არ ვართ მთესავნი,
 (ჩვენი ცხოვრების მოდა მაკვირვებს!),
 ჩემოთესლილი ზის მეფესავით
 და ქართველი ჰეავს მოჯამაგირედ.
 წამსვლელს და მომსვლელს ფესქვემ ვეგებით,
 გული ეველასთვის რომ გვაქვს კარლიად,
 აქ ღვივდებიან უცხო თესლები,
 ქართველები კი სადღაც გარბიან.
 სახლიდან სადღაც გაგვირბის შვილი
 და წინ ვიღაცა უცხო უძღვება
 „ო, ღმერთო, ღმერთო, სულ ძილი, ძილი,
 როსლა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?“
 ჩვენი გოდება როდემდე გასტანს?
 როდემდე ვვავდეთ მშიერ, ბებერ მკლებს?

ალბათ საფლავშიც არ სმინავს ვახტანგს,
 არ სმინავს დავითს, თამარს, ერეკლეს.
 დაქანგებულა ხმალი, ხანჯალი,
 დადუმებულა ფარი და შუბი.
 არ გვეავს მეფე და არ გვეავს სარდალი
 და უკუდმართ ბედს ვაწვებით შუბლით.
 ვაი, სირცხვილო, ძმანო, ქართველნო,
 როგორ დაუვარეთ ეველამ ფარ-ხმალი,
 ვაზი არ ჰევავის, რთველი არ რთველობს,
 თავს გვახის ეველა ბრიყვი, ასვარი.
 ეველამ გვძლია და ეველა გვაძინებს,
 ეველამ გვაჯობა ჭკუით, გონებით,
 ვერაგი შაჰის ჯიშს და ნაშიერს
 აფსუსს, უომრად რომ ვემონებით.
 დაკარგე სული დღეს, ჩემდა თარსად.
 ერთ დროს ამაყი ქართველი ქალი
 აეროლებულს ჰეავს გამურში ხასად,
 წინაპართა ძვლებს გააქეთ ხანხარი.
 (დროა, შევიკრათ ეველა ერთ მუშტად!)
 დღეს თუ იყიდა უცნომ ბახარი,
 ხვალ საქართველოს იყიდის მუქთად...
 ქვეყნად ღიმილის კაცად მოვედი,
 და დღეს ცხოვრებას განვუდექე გვერდზე,
 დავდივარ ერთი მწირი ჰოყტი
 და ჩემს მიწაზე სამშობლოს ვემებ.
 ოცნების ზღვაში ველარ დავცურავ,
 აღარ მიცინის სახე და ჰირი,
 მე დღეს გადამწვეს როგორც ნათურა
 და მოტყუებულ ცხოვრებას ვტირი.





სატირა

რა ვამდებოთ ქმრებს საახალწლოდ



„გინდ მეძინოს მაინც სულში მიზიხარ!“, „შენ ჩემი მზე ხარ ამომავალი!“, „თვალეები რომ მომანათე, თითქოს დილის ცისკარია“, „შენ ჩემი გაზაფხული და ჩემი ოცნების წყარო ხარ“, „ქალო, შენი ღიმილი ჩემთვის ყველაფერია“, „შემირიგდი“, „ტურფავ, ტურფავ“, „მხოლოდ შენ ერთს“, „ჩემთან მოფრინდი, მერცხალო“, ქალო, გნახე ფეხშიშველი“, გიყიდი, გიყიდი ფაჩუჩებს“ და ა.შ.

სიმღერები უნდა შეასრულონ სამზარეულოში ან აბაზანაში ჭურჭლისა და თეთრეულის რეცხვის დროს. სიდედრის თანდასწრებით, ცოლის აკომპანიმენტის თანხლებით, მაღალ ხმაზე, ფხიზელ მდგომარეობაში, მეზობლების გასაგონად.

თქვენ უნდა იმღეროთ: „კარგი იყო არ გამეცან თავიდან“, „სიყვარული არ იქნება, არ იქნება ძალადა“, „ღვინოსავით მათრობელავ, ჩემდა ჭირად დაიბადე“, „თავო ჩემო, ბედი არ გინერია...“

სრულდება დაბალ, ოდნავ სევდიან ხმაზე, უცრემლოდ, განყობილ სუფრასთან, დედამთილისა და მულების თანდასწრებით ქმრის მიერ ჩართულ სარეცხი მანქანის აკომპანიმენტის ქვეშ ნასვამ მდგომარეობაში.

პანო ცინცაძე



ნებიურა
სოღების
ქმრები



ჩვენი სიწმინდეები

„ნინო რუსეთაშვილის გამომცემლობა“
 ყახლოეს მომავალში გეგმავს წიგნის გამოცემას
 „რაჭა-ლეჩხუმის ღირსშესანიშნაობები“,
 რის გამოც გამომცემლობამ დაიწყო აღნიშნული
 მასალების შეგროვება. რომლის მქონე ნაწილსაც ყოველ
 ნომერში შემოგთავაზებთ.
 წიგნში შევა აწარმოოთ გამოქვეყნებული, აწამედ დღემდე
 უყნობი მასალები.



რუსთაშვილის ავტორია დავით კიკოლაშვილი



ხირსონისის წმ. გიორგის ეკლესიის სიძველეთაგან შემორჩენილია ვერცხლის ჭედური ხატი, რომელზეც წმ. მხედრები არიან გამოსახულნი. ხატზე ზევით წმ. გიორგია რომელიც ჰკლავს დიოკლიტიანეს, ქვემოთ კი გველეშაპის შემმუსვრელი წმ. თევდორე. ხატი X საუკუნეს განეკუთვნება. მას წარწერა არა აქვს, არშიები მოჩუქურთმებულია ორნამენტებით. ხატის ზომებია: 26,7X19,6 სმ. გადმოცემით ხატი ხსიერის ეკლესიიდან გადმოუბრძანებითა და იგი შეშლილთა მკურნალად ითვლებოდა.

ხირსონისის წმ. მხედართა ხატი



ცაგარის ღვთისმშობლის ხატი

შუასაუკუნეების ქართული ოქრომჭედლობის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს XI საუკუნეში შესრულებული ცაგარის ღვთისმშობლის ხატი. იგი დიდი ზომისაა (106X75 სმ.), მოოქრული. შუაში გამოსახულია ტახტზე მჯდომი ღვთისმშობელი, რომელსაც მუხლზე უზის ყრმა იესო. გამოსახულების ზემოთ წარწერაა: „დედაჲ ღმრთისაჲ“. ჩარჩოს ზედა ნაწილში ხუთი მედალიონია განთავსებული „ვედრების“ კომპოზიციით — შუაში ქრისტე, მარცხნივ ღვთისმშობელი, მარჯვნივ იოანე ნათლისმცემელი, გვერდებზე მთავარანგელოზები. დანარჩენ ცამეტ მედალიონში გამოსახულნი არიან თორმეტი მოციქული და იოანე ოქროპირი შესაბამისი წარწერებით.

ჩვენი სიწმინდეები



საკაო

საკაო მდებარეობს ონის რაიონში. სოფელში და მის მიდამოებში რამდენიმე საინტერესო ძეგლია, მათ შორის არის სამი წმ. გიორგის ეკლესია. ერთი მათგანი ქაშუეთის წმ. გიორგად იხსენიება, მეორე, რომელიც მდინარე საკაურას მარცხენა ნაპირზე მდებარეობს, უფრო ძველია და სამზირის უდაბნოს წმ. გიორგის უწოდებენ. ეკლესია შემკულია რელიეფებითა და წარწერებით. გვიან პერიოდში იგი შეუკეთებიათ, რასაც გვამცნობს მხედრული წარწერა: „ჩყნთ წელსა მანისსა მე კობტა ჯაფარიძემ შოშიტას ძემ გამოვიღე ბჭე ესე ჩემის ხელის საოხად ოსტატები ამისი გიგო ნონიას ძე კახათელისძე და ივანე ლაზარეს ძე დვალი შვილი“. არის ძველი ასომთავრული წარწერაც: „ქრისტე ღმერთო შეინყაღე გიორგი დეკანოზი“. საკაოს ერთ-ერთი ეკლესიიდან მუზეუმში გადატანილია X-XI საუკუნეების ხატი წმ. გიორგის გამოსახულებით, რომელიც დიოკლეტიანეს ჰკლავს. ხატის ზომებია: 38X35 სმ. ხატი შუასაუკუნეების ჭედური ხელოვნების ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს.



ონის მთავარანგელოზთა ხატი

მუზეუმში ინახება ონის „საჯანის კარის“ ეკლესიიდან წამოღებული მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოზთა ჭედური ხატი, რომელიც შუასაუკუნეებს (XIII ს.) განეკუთვნება. იგი ხელოვნების ერთ-ერთი თვალსაჩინო ნამუშია. ხატის ზომებია: 66X53 სმ. ამიები შემკული აქვს წმინდანთა და მცენარეთა გამოსახულებებით. ხატზე ორი წარწერაა; მთავარანგელოზთა შორის, ქვემოთ მოთავსებული წარწერა ასე იკითხება: „ქ.წმინდანო მთავარანგელოზნო, მიქელ და გაბრიელ, მეოხ ეყვენით სამთა ძმათა გარაყანისძეთა მიქელს, ფორთოხს და ივანეს და ძეთა მათთა ორსავე ცხოვრებასა წინაშე ქრისტესა“. მეორე წარწერა მიქელ მთავარანგელოზის მარჯვენა ხელის ძირშია განთავსებული: „ქ.წმინდანო მთავარანგელოზნო, მეოხ ეყვენით ორთა ძმათა სოსაგისძეთა ჯოღედანსა და ვარდანს წინაშე ქრისტესა ორსავე ცხოვრებასა“.



ლაპაჭინა

მუზეუმში გამოფენილ ჭედურ ხატებს შორის ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს XI საუკუნეში შესრულებულ, ე.წ. „კვიპროსისტიპის“ ღვთისმშობლის ხატს. მისი ზომებია: 70X53,5 სმ. ხატი ვერცხლისაა, ნაწილობრივ ოქროთია დაფერილი. ჩვენამდე ნაკლები სახითაა მოღწეული. ცენტრალურ ნაწილში გამოსახულია ტახტზე მჯდომი ღვთისმშობელი მუხლებზე ყრმა იესოთი, რომელსაც ახლავს შესაბამისი წარწერა. ჩარჩოს ვერტიკალურ მონაკვეთზე დაზიანებული სახითაა შემორჩენილი მთავარანგელოზთა გამოსახულებები, ზედა ნაწილში უნდა ყოფილიყო „ვედრების“ კომპოზიცია, აქ იოანე ნათლისმცემლის ფიგურა შეიმჩნევა დაზიანებული სახით. ჩარჩოს ქვედა ნაწილში წარმოდგენილი არიან წმინდა მხედრები — თევდორე, გიორგი და დიმიტრი. ხატის ქვედა ნაწილში არის შემკვეთთა ვინაობის დამადასტურებელი ასომთავრული წარწერა: „ღმრთის მშობელო, შეინყაღე ერისთავი ჯინჯიხი, ღმრთის მშობელო შეინყაღე ერისთავი ვარდანი“; თავად ოსტატის სახელი უცნობია.



დედის ნანა

ბადრი მთვარე სსივებს აფენს,
თეთრ ღრუბლებში კიაფობს,
დედა აკვანს ნახად არწევს,
იავნანას მიკალობს:

გაიხარდე, გენაცვალე,
გულის გამხარებელი
დედ-მამა არ დაივიწყო
შენ ჰატარა ქართველო!

უცხო მხარემ, უცხო მიწამ
ნირი არ შეგიცვალოს.
დაიხსომე საქართველო
არის შენი სამშობლო!



**ლილა
ბაროშვილი**

და ამასვე მასწავლიდა
ჩემი მამა გამზრდელი:
“შენი რჯულით, შენი რწმენით
ნარ ჰატარა ქართველი!”

ჩემი ფუძე, ჩემი ხატი
მიხმობს მუხლმოსაყრელად,
ვმადლობ უფალს, რომ ამქვეყნად
გამაჩინა ქართველად!



ბიჭი და ნიბლია

ბიჭი:
„სად მიფრინავ, ჩემო კარგო,
ჰაწაწინა ნიბლია?
ულამაზეს შემოდგომას
სხვაგან ნახავ გგონია?“

ფერად-ფერადი ფოთლებით
შეიმოსა ბუნება,
ეურმენიც დამწიფებულა.
გახალისდა გუნება!“

ნიბლია:
„უხედავ ფოთლების ხალიჩას,
ლამაზს როგორც ოცნებას,
მაგრამ სხივი აღარ ათბობს
და დღეებიც მოკლდება.“

მალე წვიმას თოვლი შეცვლის,
ეინვას სად დავემალო?
და საკვებიც აღარ არის—
შიმშილს როგორ გავუძლო?“

თბილ ქვეყანას მივაშურებ,
ზამთარს დავემალევი,
გაზაფხული როგორც მოვა,
ისევ დავიბრუნდები!“





საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი,
მთავარეპისკოპოსი
მცხეთა-თბილისისა
და მიწნოპოლიტი
ბიჭუინთისა და
ცხუმ-აფხაზეთის,
ილია II

ყველას მოგახსენებთ. ღვთის წყა-
ლოვით მოვიდა ახალი წელი. ყოველ
ახალ წელს ჩვენ დიდი იმედებით
ვხვდებით. დღესაც იმედით ვუყურებთ
მომავალს. უპირველეს ყოვლისა, ყოველგა
ჩვენებანება უნდა შეიცნოს თავი თვისი.
ჯერ ძველი რომაელები ამბობდნენ „ნოს-
ციტა იფსუმ“ - „შეიცანი თავი შენი“. ყვე-
ლაზე დიდი საიდუმლოება ჩვენშია. ჩვენში
დავინახავთ ჩვენ ღმერთს, სიკეთეს, გორო-
ტეას. ადამიანება ყველაფერი უნდა გაა-
კეთოს, რომ განიფინდოს თავისი გული
და ადამიანის გული უნდა გახდეს ტაძარი
სულინა წმინდისა.

ჩვენ გამოვიარეთ რთული გზა, მაგრამ
გი ვფიქრობ, რომ მომავალი ნათელია,
საიგდოა. საქართველომ უნდა აირჩიოს
ოქროს შუალედი და გი ვიტყვოდ, მთელმა
კავკასიამ უნდა აირჩიოს ოქროს
შუალედი, ამირკავკასია კი არ უნდა იყოს
წინააღმდეგობის და დაპირისპირების
ასკარები, არამედ თანამშრომლობისა
და ურთიერთგაგების ასკარები უნდა
გახდეს. გი დღეს გულითადად ვულოცავ
ახალ წელს მთელს საქართველოს.
ვულოცავ ქართველებს, აფხაზებს, ოსებს,
ბერძენებს, რუსებს და ყველას, ვინც
ცხოვრობს საქართველოში. ჩვენ იმედით
ვხვდებით, ვუყურებთ მომავალს და ეს
იმედი დამყარებულია ჩვენს რწმენაზე.
მართლმადიდებელი სარწმუნეობა,
სიყვარული და სასაოება უნდა სუფივედს
ადამიანის გულში.

დღეს გი განსაკუთრებული სიყვარულით
ვულოცავ „უკლურებასა შინა მყოფთა“,
ავადმყოფებს, საავადმყოფოში, თუ
სახლში მყოფთა. გი ვულოცავ ვაჭირებს,
გაჭირვებულთ და ბისურვებთ, რომ თქვენი
გაჭირვება, თქვენი მწუხარება სიხარულით
შეიცვალოს. ადამიანი რომ იყოს გადნიერი,
უპირველეს ყოვლისა საქირმა გადლი
ღვთისა, წყალოება და გადლი წინაპრებისა
და კეთილი საქმეები თვითონ ადამიანისა.
ქალიანდიდიმნიშვნელობააქვსმგობლები
დალოცვას. მგობლებმა უნდა დალოცოთ
თქვენი შვილები და ეს უნდა ხდებოდეს
ყოველ დღე. შვილი უნდა ღებულობდეს
ლოცვა-კურთხევას თავისი დედისაგან და
მამისაგან და უნდა ამთხვიოთ მგობლებს
ხელზე. აი, ამმთხვივისდროს ღვთისლოცვა-
კურთხევა გადმობა თქვენზე. კურთხევა
უფლისა თქვენს ზედა, მისითა გადლითა
და კაცთმოყვარებითა. ყოვლავე ან და
მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.